645
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0321-1509



№123

# საქართველოს ქალი

7
1987



საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პრიზზე.

პრიზიორები (მარცხნიდან მარჯვნივ): ეკატერინე გურინა, ირმა ყიფშიძე, ნატო ლეჟკაშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.


„საქართველოს ქალი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

645
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



ივნისში საქართველოში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი. თბილისში იგი რძის კომბინატსაც ეწვია.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

№123



როგორ გახდა ნანული ფუტკარაძე 1987 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

# მზის ყუნწები

ნარკვევი

ტყვიისფერი ღრუბელი სულ დაბლა ჩამოდიოდა და სახურავივით აწვებოდა მუხებს. (ლაპარაკია სოფელ მუხაესტატეზე, რომელიც ქობულეთის რაიონს „ესტატეს მუხებით“ ამშვენებს.) ჰაერში სიჩუმე იდგა — მოულოდნელობით სავსე. ეტყობოდა გათოვდებოდა. სულ მალე დაიწყო თეთრი პეპლების კარნავალიც — ლამაზი სანახაობა. მან სიხარული მოუტანა ზღვისპირეთელ ბავშვებს. დედებს არ შეშინებიათ თოვლის — მსუბუქად ჩამოიცურებენ ხეები თეთრ წამოსასხამსო. ითოვა რამდენსამე დღეს, მაგრამ უკვე წვრილად, გაავებით. ხალხს ეგონა ჩრდილოეთში გადავსახლდითო... ლევან ფუტკარაძის ოჯახში ქალი დადარდიანდა. ორი, თითქმის ერთმანეთის ტოლი ბიჭი შემოეხვია დედას, ის კი წასასვლელად ემზადებოდა, მერე სადღაც გაიქცა და გვიან დაბრუნდა მამასთან ერთად. გაცხარებული ლაპარაკობდნენ ტოტებჩამოტეხილ ხეებზე, რომლებიც თოვლს დაეფარა.

დილით შიშით გაიღვიძა სოფელმა. თითო სართულით დადაბლებულიყო სახლები. აღარ ჩანდა არაფერი თეთრი ველების გარდა...

1985 წლის ზამთარმა თითქმის გაანადგურა ციტრუსები ქობულეთის რაიონში. დიდთოვლობამ ტოტები დაუმსხვრია და ჩამოულეწა მანდარინს და ფორთოხალს. მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსების გადასარჩენად დაირაზმნენ ადამიანები. მესამე რგოლის წევრები ნანული ფუტკარაძის ხელმძღვანელობით ჭრილობებს უხვევდნენ ხეებს. ვერ აუდიოდნენ ძირს დაყრილი ტოტების გამოტანას. ამ გადაყრილ ტოტებს გააყოლეს იმ წელს 100 ტონა მანდარინი. მხოლოდ 76 ტონა მოიკრიფა რგოლის 8 ჰექტარზე მაშინ. მაგრამ მაინც პირველები იყვნენ მეურნეობაშიც, რაიონშიც. სანატრელი გაუხდათ მესამერგოლელებს 1984 წელი, როცა 176 ტონა მანდარინი მოკრიფეს, 1500 მანეთი ჯილდოდ მიიღეს და ნანული მედლით დააჯილდოვეს. მაშინ ახალდანიშნული რგოლის ხელმძღვანელი იყო ნანული, მაგრამ, როგორც რიგით მეციტრუსეს, კარგად იცნობდნენ წინაწლების მუშაობით. 1988 წელს ნანულიმ თავის ნაკვეთში 27 ტონა მანდარინი მოკრიფა და იმავე

ტ. იაკობაშვილის ფოტოები.



ნანული შვილებთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანული და მისი რგოლის წევრები

წელს პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა. იმის წინ 25 ტონა მანდარინი დაკრიფა, კიდევ იმის წინ — 20. სულ პირველად კი, აქ რომ ჩამოვიდა სამუშაოდ, 15 ტონა დიდი მიღწევა ეგონა.

აქ იგი ქმართან ერთად ჩამოვიდა მთიანი აჭარიდან. ჩვიდმეტი წლის იყო მაშინ ნანული. ახალშეუღლებულები დილაადრიან შემოვიდნენ მეურნეობის ტერიტორიაზე და ერთი ოთახი ინატრეს. მას და ლევანს აქაური ჰავა და მდებარეობა მოეწონათ, ხალხით კიდევ უფრო მოიხიბლნენ, იმედი ჰქონდათ — საქმეს შეგვასწავლიან, გვერდში ამოგვიდგებიანო.

ერთი ოთახი მიიღეს, პატარა მაგრამ თბილი, სადაც შვილების დაბადებამდე ერთი საწოლი და ერთი სკამი ედგათ. გამოცდილი ადამიანების დახმარებით საქმეც მალე აითვისეს და თავიანთი ნაკვეთები გაიპიროვნეს.

პირველ მოსავალს ნანული ისე ელოდა, როგორც შვილის დაბადებას. პატარა მწვანე მანდარინები რომ ყოველდღე იზრდებოდა, ნანულის მოსვენება ეკარგებოდა. ხანდახან ღამითაც გადიოდა ნაკვეთში და ამოწმებდა წვიმას და ქარს ხომ არ ჩამოუყრიაო. ლევანი მის ასეთ ზედმეტ გულმოდგინებას ფეხმძიმე ქალის გუნებაცვალებადობით ხსნიდა და, რა თქმა უნდა, ტყუვდებოდა. ცოლი მერეც ასე იქცეოდა.

ნანული ბევრჯერ დაფიქრებულა — რატომ გადაექცა ციტრუსების მოვლა მოთხოვნილებად. ალბათ იმიტომო, — გადაწყვიტა, რომ მთელი ბავშვობა მთაში გაატარა და ბარი არ ენახა. შუახევის რაიონიდან, სოფელ კვიახიძეებიდან, მეზობელი სოფლის დღვანის საშუალო სკოლიდან (სადაც სწავლობდა), უმზერდა ცხოვრებას და ეგონა, სულ აქ იქნებოდა, მერე ფერმაში წავიდოდა... განა არ მოუვლია პირუტყვისათვის? განა ცოტაჯერ გადაურეკავს მთაში თავიანთი ძროხები? განა არ დაუნახავს სოფლის მთიდან თურქეთის საზღვარი და ახლოს ჩავლილი ღარიბი მწყემსი? მამა უხსნიდა — ადრე ისიც ჩვენიანი იყო, აქედან ერთდროს გახიზნული იქ სამუდამოდ დარჩაო. შეაშინებდა მწყემსის ცქერა ბავშვს და თვალდახუჭული ჩამორბოდა მთიდან.

ამ ადგილების მოშორება დღესაც ნაღველს ურევს მუხაესტატელი მეციტრუსის ლამაზ, ბედნიერ ცხოვრებას. მართალია, ყოველთვის, როცა კი მოესურვება, ადის დღვანში, ქმრისეულ ოჯახში, დედამთილ-მამამთილთან აჰყავს ბავშვები, მაგრამ ექვსი კილომეტრით დაშორებულ სოფელ კვიახიძეებისაკენ ვერ იხედება. გიორგი ფუტკარაძემ, მამამისმა, დღემდე ვერ აპატია ცხრა წლის წინ სახლიდან გაპარვა თავის უფროს ქალიშვილს ნანულის და ოჯახის სხვა წევრებსაც აუკრძალა მასთან შეხვედრა. ვერც სიძის კაიბიჭობამ მოხიბლა მამის ნებადაურთველად გათხოვილი შვილის მშობელი, ვერც უღელი შვილიშვილების სიყვარულით შეტოკებულმა გულმა უკარნახა უკან დაეხია, ძველი ადათი გადაეგდო, შინ შემოეშვა ამ ჭერქვეშ დაბადებული თავისი პირმშო...

რა ქნა გიორგი ფუტკარაძემ, სოფელში გამორჩეულმა კაცმა, კარგმა მშრომელმა და კარგი მარჯვენის პატრონმა, როცა გაზეთში ქალიშვილის სურათი ნახა, როცა შეიტყო, რომ ნანული გიორგის ასულ ფუტკარაძეს 1987 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა? ალბათ მარტო, თავისთვის დარჩენილმა ბევრჯერაც გადაიკითხა ეს სტრიქონები და დარწმუნდა, მართლა მაგარი ხასიათი რომ ჰქონია მის შვილს. ხალხში კი ერთი სიტყვა არ უთქვამს მის შესახებ.

ნანულის გამარჯვება იმ კონკურსში, რომელიც წინ უძღვის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას, იოლი არ ყოფილა.

1985 წლის დიდთოვლობის შემდეგ, გაზაფხულზე ცოტა მოიხედა ავადმყოფმა ხეებმა. ნანულიმ მოუშუშა ჭრილობები, გაუმაგრა ტოტები... იმ წელს საზრდოთი და თბილი ხელით ნაფოფინებმა ციტრუსებმა ჰექტარზე 20 ტონა მანდარინი აჩუქეს ნანულის რგოლს. ეს მაღალი მაჩვენებელია მაშინ, როცა საშუალოდ 17 ტონა ითვლება უმაღლესად.

თუ შეეკითხებით, როგორ შრომობენ მესამერგოლელები, ნანული ასე გიპასუხებთ: — ნარგავებს ვუვლით როგორც საჭიროა, არ ვზარმაცობთ, ნაკვეთში ისე ვფუსფუსებთ, როგორც საკუთარ ოჯახში, და მგონი, უფრო მეტადაც. ოჯახში ზოგ საქმეს გაუკეთებელს ვტოვებთ, ციტრუსებს კი ვერ ვღალატობთ და მთელ ენერგიას მათთვის ვიზოგავთ.

საინტერესო ისაა, რომ რგოლში ყველა ბეჯითია. როცა ადრე ზოგიერთები საქმეს მიაფუჩეჩებდნენ, მას ნანული ასწორებდა. რამდენჯერმე რომ მოხდა ასე და ფული კი თანაბრად გაინაწილეს, ზოგიერთებმა სირცხვილი იგრძნეს...

წლეულს მოწინავე მესამე რგოლს მეოთხე რგოლი შეუერთეს. ამ ამბავმა ყველა დააფიქრა — ნანულიც და მისი მეგობრებიც. მეოთხე რგოლის ნარგავები მათ მეზობლადაა. ხეები მოუვლელი, დაბეჩავებული იყო. გულიანი მოვლა სჭირდებოდა. სხვა გზა არ ჰქონდათ, დაიკაპიწეს ხელები, მანდარინის ტოტებს მაღლა აყოლილი სუროები მოაშორეს, ტრიფოლიატები გადაჭრეს, სასუქი დროზე მიაწოდეს, დაბარეს, გათოხნეს, ბალახი მოაცილეს... აი, მაშინ მიჰქონდა ბევრი ბალახი ნანულის ძროხისთვის — ყოველ დღე სავსე კალათი.

უძროხოდ, აბა, ოჯახი რას ვარგაო, — ამბობს ნანული. საკუთარი ეზო-კარმიდამო რომ ჰქონდეს, ალბათ, მეტ პირუტყვსაც იყოლიებდა. ქათმები და გოჭები ყოველთვის ჰყავს, ბოსტანს ისე უვლის, რომ არასდროს ბაზარში წასვლა არ სჭირდება, ცხოვრობს შეძლებულად, წელიწადში საშუალოდ ექვსი ათასი მანეთი აქვს შემოსავალი, ქმარი მისი რგოლის წევრია და ხუთი ათასი მას შემოაქვს ოჯახში.

— მანქანა თუ გაქვთ? — ვეკითხებით ლევანს და ისიც დინჯ, ჭკვიანურ პასუხს გვაძლევს:

— მანქანა რად მჭირდება სოფელში? ტყუილად ხომ არ დავაყენებ სახლში! მერე ბიჭებიც პატარები არიან. ხიფათს ვერიდები. ჯერ წამოიზარდონ...

ერთი ოთახი ენატრებოდათ სიყვარულით შეუღლებულებს, მამისეულ სახლებიდან წამოსულებს, მეურნეობამ კი სამოთახიანი ბინა მისცა. პატარა დაბაში ყველაფერი აქვთ — სასადილო, მაღაზია, აფთიაქი, მომსახურების კომბინატი. კიდევ მოისურვებენ რამეს და კარგი მეურნეობის ხელმძღვანელი ჰყავთ, ასლან ბეჟანიძე, გაუჩენელს გააჩენს, შეუძლებელს შეძლებს — ლენინის ორდენოსანი, ომისა და შრომის ვეტერანი, დიდი გულის კაცი.

...გოჩა და მალხაზ ფუტკარაძეები იზრდებიან, ისინიც, ალბათ, დედ-მამასავით ციტრუსებში დაიწყებენ შრომას. მართალია, მეურნეობის ბაგა-ბაღში დაიზარდნენ ორივენი და კარგადაც იყვნენ მოვლილები, მაგრამ ნანული, იგონებს, რომ ზოგჯერ პლანტაციაშიც მოჰყავდა ხან ერთი, ხან მეორე.

და ერთ შემოდგომაზე, როცა ნარინჯისფერი მანდარინების კრეფა დაიწყო და დედამ ისინი ნაკვეთში მიიყვანა, ბიჭები წინ გაიქცნენ და ყვირილი მორთეს:

— მზის ბურთები!

— მზის ბურთები!

ლია კაპანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფელო, ხალხით ხარ ძლიერი!

# სხალთელები

მიყვებით აჭარისწყლის ხეობას. ირგვლივ გოლიათებივით წამომდგარან ათასფრად მოხატული ტყეებით დაბურული მთები. ძალააკრებილი, ლოდებზე გადამქუხარი აჭარისწყალი ამღერებული ხმით მიგაცილებთ, თითქოს რაღაც დაუსრულებელ ზღაპარს გიყვებოდეთ.

შუახევს რომ გაცდებით, მარჯვნივ შენიშნავთ თაღოვან ხიდს, თამარის ხიდად წოდებულს. აქედან იწყება სხალთის ხეობა, რომელიც აკვნად დაირწა XIII საუკუნის დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ტბელ აბუსერიძისათვის. ეს ადგილები სამასი წელი გმინავდა ასიმილატორთა უღელქვეშ. წარსულის მოგონებებში ჩაძირულს უნებურად გაგონდებათ პოეტის სიტყვები:

რა წვალება არ გინახავს,
აოხრება, სულის ტკენა.
მაინც გულში შეგინახავს
რუსთაველის ტკბილი ენა.

ჟამთა სვლისაგან ყველაფერი არ წალეკილა. ჯერ კიდევ მტკიცედ დგას ბევრის მომსწრე ხიხანის ციხე და სხალთის ტაძარი. მადლიერი ხალხი სათუთად უვლის წინაპართა ნაფუძარსა და ხავსმოდებულ ნანგრევებს. წარსულის უკვდავსაყოფად ხულოს რაიონის მშრომელებმა დაამკვიდრეს შრომის დღესასწაული „ტბელობა“, რომელსაც სხალთის ხეობაში ყოველწლიურად აღნიშნავენ. სხალთის ძველ ტაძარში გახსნეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ექსპონატებში ძველი საქართველოს ყოფაა ასახული, წარმოჩენილია ტბელ აბუსერიძის ხელნაწერთა ფოტოპირები. ხეობაში ასე შეერწყა ერთმანეთს ძველი და ახალი.

ახლანდელი სხალთა ხულოს რაიონის ერთ-ერთი თვალწარმტაცი სოფელია. სასოფლო საბჭოში შედის ოთხი საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, კლუბები, საუბნო საავადმყოფო, ხუთი საფერშლო-საბებიო პუნქტი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. როგორც ხედავთ, სხალთელებს არ აკლიათ თანადგომა და დახმარება. საბჭოში კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა ქალია. მათი თავდადებული გარჯის წყალობით სოფელი სიუხვით აივსო. აი, მაგალითად, სხალთელებმა შარშან მოიწიეს 235 ტონა ხმელი თამბაქო, 300 ტონა კარტოფილი, 20 ტონა ბოსტნეული, 45 ტონა ყურძენი, 75 ტონა ხორცი, 120 ტონა რძე. კოლმეურნეობის წლიურმა შემოსავალმა 1.200 ათას მანეთს მიაღწია. ეს იშვიათი შემთხვევაა მთაში. საერთო წარმატებებში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქალები. მარტო ისიც ბევრის მთქმელია,

შ. ართმელაძის ფოტო.



სხალთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იზოლდა სურმანიძე

რომ სხალთაში 280 მრავალშვილიანი დედაა, მათგან 33 — გმირი დედა. შეჰყურებთ ბავშვების ხმებით აჟრიამულებულ ოჯახებს და გული იმედებით გევსებათ.

გაგაცნობთ რამდენიმე სხალთელ ქალს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

**იზოლდა სურმანიძე.** აჭარის მთიანეთში იშვიათად შეხვდებით სასოფლო საბჭოს, რომ ქალი ედგას სათავეში. გამონაკლისი სხალთაა. იზოლდას სახელთან ბევრი კარგი საქმეა დაკავშირებული. მისი მუშაობის დროს ხეობას შეემატა ყინჩაურისა და წაბლიანის სასკოლო ინტერნატები, ოთხსართულიანი საუბნო-საავადმყოფო 45 საწოლზე, ბაგა-ბაღი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა. სამანქანო გზა მთა მაჭარელათში, მეცხოველეობის ახალი ფერმა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. შეჰყურებთ და გიკვირთ, მთის ჩანჩქერივით დაუდეგარ, კაფანდარა ქალს საიდან აქვს ამდენი ენერგია. სად არ ნახავთ მას, ზვარში და თამბაქოს პლანტაციებში, სკოლასა და საავადმყოფოში, იალაღებსა და ყანებში. ნახევარი საათიც რომ დაჰყოთ მასთან, ულრმესი პატივისცემით განიმსჭვალებით. იგი სასოფლო საბჭოს სული და გულია, ყველა კეთილშობილური საქმის დამწყები და დამაგვირგვინებელი, ქალი, რომელსაც ხალხზე ფიქრში უთენდება და უღამდება. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. იგი დიდებული დიასახლისი, მეუღლე და დედაა. სამი შვილი ჰყავს. სამთავე ხუთოსანი. სოფელსა და ოჯახზე მზრუნველი იზოლდა ყველასათვის მისაბაძი და მახლობელი გახდა.

**ზოია იშჩუკი და მისი ოჯახი.** უცნაურად წარიმართა ექიმების ზოია და ვლადისლავ იშჩუკების ოჯახური მდგომარეობა. სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრეს უკრაინაში. დაქორწინდნენ. ოთხი შვილი შეეძინათ. ორი უფროსი ასთმით დაავადდა. ბავშვები უკრაინის ჰავას ვერ შეეგუენ, ვერც ყუბანისას, ვერც ზღვისპირეთისას. შვილების ჯანმრთელობაზე ფიქრმა ბათუმამდე მოიყვანა მშობლები. მთაში ცხოვრება სინჯეთო, შესთავაზა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა. სწორედ იმხანად მთავრდებოდა სხალთის საავადმყოფოს მშენებლობა. ახალ საავადმყოფოში პედიატრიც სჭირდებოდათ და გინეკოლოგიც. ვლადისლავი მთავარ ექიმად დანიშნეს, ზოია — განყოფილების გამგედ. მოხდა საოცრება. სხალთის ხეობაში ჩამოსულმა ბავშვებმა პირველსავე კვირას უკეთ იგრძნეს თავი. ჩქარა ისე მომჯობინდნენ, სირბილით მთასა და ბარს ასწორებდნენ. ეს 1985 წლის ზაფხულში მოხდა. სკოლაში წასვლის დროც დადგა. სხვა რა გზა იყო, ქართულ სასწავლებელში მიაბარეს. მასწავლებელთა განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეთამბაქოე ლილი აბაშიძე

მზრუნველობით ბავშვებმა ჩქარა აითვისეს ქართული ენა. ივანემ და მარინემ ქართული აქცენტით წაგვიკითხეს ლექსები. ახლა ქართულს ჩვენი შვილებისაგან ვსწავლობთო, — ღიმილით გვითხრა ზოიამ. იშჩუკები კარგი სპეციალისტები გამოდგნენ. ისე გაითქვეს სახელი, მეზობელი სოფლებიდანაც მოდიან ავადმყოფები. ზოია ყოველი ოჯახის სასურველი სტუმარია. დახელოვნებული გინეკოლოგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ავადმყოფთა დისპანსერიზაციას.

იშჩუკები სხალთიდან წასვლაზე აღარც ფიქრობენ. მათ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის იზოლდა სურმანიძის ინიციატივით ნაკვეთი გამოუყვეს და საცხოვრებელი სახლი ჩაუდგეს.

**ქალთა საბჭო.** რა დასამალია და, მაღალმთიან რაიონებში მოსახლეობა მოკლებულია კომფორტსა და კარგ საყოფაცხოვრებო პირობებს. ისიც ცნობილია, რომ წარსულის მავნე გადმონაშთები მთაში უფრო არის ფეხმოკიდებული, ვიდრე ბარად. ეს გამოიხატება ქალისადმი ზოგიერთი კაცის ქედმაღლური დამოკიდებულებით, ქალთა შრომის შეუფასებლობით. აქა-იქ ჯერ კიდევ არიან მორწმუნეები, რომლებიც თავისებურ გავლენას ახდენენ სუსტი ნებისყოფის ადამიანებზე. ადგილი აქვს ექიმბაშობას. აი საკითხების ნუსხა, რაც ქალთა საბჭოს საფიქრალ-საზრუნავია. ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ვარდო დიასამიძე, საბჭოს წევრები და აქტივისტები, განსაკუთრებით პედაგოგები: ნაზი მიქელაძე, ვარდო დიასამიძე, ნაზი აბაშიძე, თინა ბოლქვაძე, ეთერ სურმანიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეთამბაქოე მერი მახარაძე და სხვები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოფლად ღონისძიებების გატარებაში. ქალთა კრებაზე, რომელიც გაზაფხულზე გაიმართა, ძირითადი დევიზი იყო — „ყოველდღიური მზრუნველობა და თანადგომა ქალს — დედასა და ქვეყნის ხვალინდელი დღის, ჩვენი წინსვლისა და სიძლიერის ბურჯს". ცნობილია, რომ მთიელი ქალები მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ აღმშენებლობაში, კაცებს მხარში edgნენ კოლექტივიზაციის, სამამულო ომის, სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში. ახლაც ასეა. თამბაქოს პლანტაციებს, ვენახსა თუ ყანებს მათი ხელების მადლი ატყვია. მეთამბაქოე უნქერ ბოლქვაძემ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა, უნქერ გორგილაძე 36 წელია კოლმეურნეობაში მუშაობს, როგორც საუკეთესო მეთამბაქოე ლენინის ორდენით დააჯილდოეს. თავდადებული შრომისათვის მინევერ აბაშიძემ და ნადია გორგილაძემ ორდენები დაიმსახურეს. აქტიურად შრომობენ ლილი აბაშიძე და სხვები. ნანი შაინიძე ჯერ ორმოცდახუთი წლისაც არ არის და 10 შვილის დედაა. მრავალშვილიანობის მიუხედავად, ნანი კოლმეურნეობის აქტიური წევრია. მას მკერდს უმშვენებს ორდენები და მედლები.

— სხალთის სასოფლო საბჭოს მოსახლეობა როგორ ატარებს პარტიის პოლიტიკას, როგორ ეხმაურება გარდაქმნას? — ვკითხეთ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს იზოლდა სურმანიძეს.

— როგორ გითხრათ, — იზოლდას ღიმილი მოერია, — საბჭოში არ გვყავს ლოთი, არ მომხდარა სისხლის სამართლის დანაშაული. იმდენი თამბაქო მოგვყავს, პირველობას არცერთ საბჭოს არ ვუთმობთ. მიზნად დავისახეთ უფრო გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი და ამ გზით გავზარდოთ მოსავალი. თამბაქოა ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურა. წლეულს ვივალდებულეთ მოსავალი 270 ტონამდე ავიყვანოთ. ასევე გავზრდით ყურძნის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ერთი საკითხი დავაყენო. ზამთარი მთაში 6-7 თვეს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ქალთა უმრავლესობა დაუტვირთავია. კარგი იქნება თუ ხულოს სამკერვალო ფაბრიკა სხალთაში ფილიალს გახსნის. ამით გაუმჯობესდება ჩვენი ქალების მატერიალური მდგომარეობა.

**მიხეილ გორგილაძე**



## ქართვლის დედა

მზის ქათქათა ფერით ფეროზ,
შენს სიცოცხლეს ვინატრებ...
ჯიღად ადგას საქართველოს
დედავ, შენი სინათლე.

ნამუსი და ბურჯი ჩვენი —
დუშმანს უცქერ ქადილით,
ნისლის თეთრი კაბა გშვენის,
ცისარტყელას მანდილი.

საქართველო შენს გულს მზიანს,
შენს სიმტკიცეს დაენდო...
შვილთა ლოცვით აგივსია
თასი საალავერდო.

მზის ქათქათა ფერით ფეროზ,
მთაზე წამოიმართე...
ჯიღად ადგას საქართველოს
დედავ, შენი სინათლე.

**შალვა ჩირაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

# კეთილი მოლოდინი

კვირა დღე იყო. რაიკომში არ შემივლია. ძალიანაც რომ მდომებოდა, ვის ვნახავდი და ვინ გამიწევდა მეგზურობას! საქმეს წინ წავიგდებ-მეთქი და მარტო მიველ კარდანახის საბავშვო სახლში. „დიპლომატი" მეჭირა და ეტყობა, ამან იმოქმედა, არ მაკადრეს, ეკითხათ, ვინ ხართ და რა მიზეზით ათვალიერებთ აქაურობასო. უხერხულობა რომ გამეფანტა, დათვალიერების შემდეგღა ვთქვი, ვინც ვიყავი, სადაურიც და რატომ მაინტერესებდა, ასე საგულდაგულოდ, რევიზორის სიბეჯითით რომ დავიარე სასადილო, სამეცადინო და საძინებელი კორპუსები, სამედიცინო ბლოკი... ცენტრალური გათბობაც შევამოწმე და თქვენ წარმოიდგინეთ, ვირთაგვებიც კი ვიკითხე. არა გვყავსო. მართლაც, არც სურსათის საწყობში ჩანდა კვალი და არც სადმე სხვაგან. მართალი გითხრათ, გავვოცდი, არ ვიცი რატომ და, მისვლამდე ისეთი წარმოდგენა მქონდა, მეგონა უკულმა დამხვდებოდა ყველაფერი. ამიტომ იყო ფეხი უკან მრჩებოდა. მართალია, ზოგიერთი ხელმძღვანელი კრიტიკისკენ მოგვიწოდებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაინც სწყინს შენიშვნები (საამისოდ გამოცდილება, იცოცხლე, მაქვს!). შენ თუ არაფერს გეტყვის, ოდესმე სადმე მაინც წამოსცდება საყვედური. ამაზე ვფიქრობდი თავდაპირველად.

ღმერთმა გადმომხედა და ისეთი სისუფთავე და წესრიგი ვნახე კარდანახის საბავშვო სახლში, მართლაც სანიმუშო! თუმცა, სხვა ამგვარ სახლში არასოდეს ვყოფილვარ და ვერც პარალელს გავავლებ, მაგრამ ყველგან თუ ასეთი წესრიგია, ამ მხრივ მართლაც კარგად გვქონია საქმე.

მზარეულებს გავესაუბრე, დამლაგებელს, დარაჯს და მერელა გამახსენდა, აუცილებლად რომ უნდა ყოფილიყო მორიგე. ვიკითხე. დღეს დირექტორის მოადგილეა მორიგე, აგერ, ჩვენს ნაკვეთს ათვალიერებს და ახლავე დავუძახებთო, მაგრამ რომ დაამატა, ექიმიც აქ ბრძანდებაო, ამჯერად მასთან შეხვედრა უფრო ვისურვე.

ექიმის კაბინეტის ფანჯრის ფარდა გაწეული იყო, თვალი გამექცა, დავინახე — ბავშვს სინჯავდა. მოვიცადე. ეტყობა ექიმმაც დამინახა. ორიოდე წუთის შემდეგ ბავშვს გამოჰყვა. თავზე ალერსით გადაუსვა ხელი, აბა, გაიქეციო, მერე მე მკითხა, ვინ გნებავთო.

ასე გავიცანი ექიმი—ქალბატონი ანა კოკოჩაშვილი. ამ გვარს რომ გავიგებ ხოლმე, ცნობილი ექიმი, პროფესორი მიხეილ კოკოჩაშვილი მახსენდება და ცნობილი კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი. ვინც ახლო არ მიცნობს, გაუკვირდება, სად მე და სად მედიცინა!







ფ. იაკობაშვილის ფოტოები.





ჯერ ისევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ჩემმა დამ სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა და ჩვენს სოფელში დაიწყო მუშაობა. ომი ახალი დამთავრებული იყო, წიგნების შოვნა ჭირდა და რაც ხელში მომხვდებოდა, ყველაფერს ვკითხულობდი. ამიტომ არც გასაკვირია, ჩემი დის ჩამოტანილ სამედიცინო წიგნებსაც რომ ვკითხულობდი ხოლმე. მართალია, ბევრს ვერაფერს ვიგებდი, მაგრამ უსაქმოდ ყოფნას მაინც ეს მერჩია. იმ წიგნებიდან ეს ერთი სიკეთე მაინც შემრჩა — ცნობილი ექიმების, მეცნიერების გვარები და სახელები დამახსომდა.

როცა ქალბატონ ანას ვკითხე, მიხეილ კოკოჩაშვილი რა იყო თქვენი მეთქი, — გაეღიმა — მამაო. მერაბ კოკოჩაშვილი კი ბიძაშვილი ყოფილა. ეს იყო მიზეზი, სულ ადვილად რომ გამოვნახეთ საერთო და უცებ გავშინაურდით.

— დიდი ხანია ჩამობრძანდით?

— თვრამეტი მარტიდან. თუმცა აჯობებს თავიდან რომ დავიწყო. ოცდაოთხი წლის სტაჟი მაქვს. 1984 წლიდან ორი წელიწადი აღარ მიმუშავია, — მოიწყინა, — ავადმყოფ დედასა და ძმას ვუვლიდი. სამწუხაროდ, ორივე გარდაიცვალა. მერე ისევ დავიწყე მუშაობა. მანამდე ჯერ კოჯრის ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბსანატორიუმში ვმუშაობდი, შემდეგ — თბილისის ბავშვთა პირველ საავადმყოფოში და პედიატრიის საკვლევ ინსტიტუტში, ბოლოს — თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა მეორე თერაპიულ განყოფილებაში. ახლა აქა ვარ, კარდანახში.

კარგა ხანს ვისაუბრეთ. დამშვიდობებისას ვუთხარი, ხვალ რომ ველარ შევხვდეთ ერთმანეთს, მერაბთან რას მაბარებთ-მეთქი.

— მოკითხვა გადაეცით, ოღონდ უთხარით — კისამ მოგიკითხა-თქო, შინაურები ასე მეძახიან.

მეორე დილით რაიონის განათლების განყოფილებაში მითხრეს, კარდანახის სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის, იგივე საბავშვო სახლის, ასე ვთქვათ, მზრუნველი და მეურვე ქალბატონი მერი გოძიაშვილიაო. სიხარული ვერ დავფარე. მერი გოძიაშვილს ოცდაათი წელიწადია ვიცნობ, ჩემი სოფლის სკოლაში მუშაობდა პიონერხელმძღვანელად. ის-ის იყო დაემთავრებინა უმაღლესი, მაშინ გავეცანით ერთმანეთს და მას აქეთ ასე, ალალი დედმამიშვილებივით მოვყვებით ცხოვრებას. მერისგან ბევრი რამე გავიგე, თავდაპირველად კი ქალბატონ ანა კოკოჩაშვილის ამბავი მაინტერესებდა.

— მართლაც საინტერესოა, — თქვა მერიმ, — საბავშვო სახლი უექიმოდ არ შეიძლება დარჩეს თუნდაც ერთი დღით. არ ვაჭარბებთუნდაც ერთი დღით! არადა, მთელი პრობლემა იყო ექიმის შოვნა, რატომღაც თავს არიდებდნენ აქ მოსვლას. ერთ დღეს ჩვენთან, განათლებაში მოვიდა მშვენიერი ქალი და პირდაპირ გვითხრა, პედიატრი ვარ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მითხრეს, კარდანახის საბავშვო სახლში ექიმის ადგილიაო და ჩამოველ, თუ მიმიღებთ, მადლობელი ვიქნებიო. ყურს არ დავუჯერეთ. ჩვენ სანთლით ვეძებთ ექიმს, ეს კიდევ თვითონ გვთხოვს. თანაც პედიატრი და თანაც ტრადიციული ოჯახის შვილი! მთავარი ის არის, რომ აქ დასახლებას აპირებს. რა თქმა უნდა, თვითონ არ გეტყოდა, მოერიდებოდა და აი, მე გეუბნებით, დღე და ღამე სამსახურშია. სამი ბავშვი გაგვიხდა ავად ანგინით. ღამე მათთან სძინავს. ისე უვლის ბავშვებს, ისეთი წესრიგი დაამყარა... არც ხათრი, არც დათმობა — გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს! კარგი დედის შვილია, საქმეს წაუყრუოს ვინმემ!

— უნაკლო არავინ და არაფერი მგონია ამ ქვეყანაზე...

— გეთანხმები. ნაკლიცა გვაქვს, დავმალოთ, არ შეიძლება. ნაკლს რომ აღიარებ, ეს იმას ნიშნავს, გამოსწორების გზას ეძებ. ჩვენს საბავშვო სახლში კიდევ ბევრი რამეა მოსაგვარებელი. მაგალითად: აღმზრდელმასწავლებელთა კადრია გადასახედ-გადასახალისებელი. თავისუფალი დროის ორგანიზაცია მოიკოჭლებს; დირექციაში მამაკაცები არიან — ქალის ყოფნა კი აუცილებელია. რაიმე რომ გაუჭირდეს უფროსი კლასის მოსწავლე გოგონას, მამაკაცისა მოერიდება, ვფიქრობ, ეს გასათვალისწინებელია... ხუთოსანთა და ოთხოსანთა რაოდენობა ნაკლებია...

კარდანახის საბავშვო სახლს თავისი სკოლა არა აქვს — აქაური აღსაზრდელები სოფლის სკოლაში დადიან. არ ყოფილა შემთხვევა, სოფლის ბავშვებს აქაურებისათვის ეგრძნობინებინოთ უდედმამოშა. პირიქით, საოცრად სამაგალითოა ის კეთილი დამოკიდებულება, რასაც ამ საბავშვო სახლის აღსაზრდელების მიმართ იჩენენ მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც და მთელი სოფელი.

საბავშვო სახლში სამიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის 85 აღსაზრდელია. ზოგი უდედმამოა, ზოგს ან მამა ან დედა, ზოგსაც ორივე ჰყავს, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამ“ არის სავალალო და სამწუხარო. რას იზამ, ზოგი მშობელი მარტო შვილის ამ ქვეყანაზე მოსვლით იხდის თავის ვალს.

ამ ბავშვების შემყურეს, ბუნებრივია, სევდიანი ღიმილი არ მცილდებოდა. როგორ უნდა დაეცეს ადამიანი, როგორ უნდა გადაჰყვეს თავის სიამოვნებას, რომ შვილები გაუშვას სახლიდან.

ერთ კაცს, თურმე ცოლი გაექცა და სამი მცირეწლოვანი ბავშვი დაუტოვა. მამას ნაბოლარა შვილი აქ მოუყვანია, სამივეს მოვლა მიჭირს, ორი წლით შემინახეთო. ყოველ მეორე დღეს მოდის თურმე (გვარს განგებ არ ვასახელებ), ნახავს თავის გოგონას (ულამაზესი ბავშვია), ეფერება, იტირებს, დაიღვრება ცრემლად და ისევ მიდის. მის დაკოჟრილ ხელებს რომ ვუყურებთ, ამ ბავშვზე უარესად მამამისი გვეცოდებაო, — თქვეს. მოდი და თავზე ნუ შემოევლები ამისთანა ბავშვებს!

მართალია, კარდანახის საბავშვო სახლი მისაბაძია (ასევე ჩაუწერია მოსკოვის კომისიას, ამას წინათ რომ ყოფილა შემოწმებაზე), მაგრამ აქ ამ ბოლო სამ წელიწადში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი დირექტორი გამოიცვალა. ახლა მესამე ჰყავთ — ახალგაზრდა, საქმიანი, დაკვირვებული. — ვაჟა მღვდელაძე.

სამი ჰექტარი ეზო აქვთ. აქედან ნახევარი სახნავ-სათესია. იმდენი ბოსტნეული დავთესეთო, — სიხარულით მეუბნებოდა დირექტორი, — საკუთარი ხელით, ჯანით შევქმენით 5-6 ათასი მანეთის პროდუქცია, რითაც ჩვენი აღსაზრდელების სამზარეულო გამრავალფეროვნდებაო.

არც საშეფო ორგანიზაციების ყურადღება აკლიათ.

არც რაიონის ხელმძღვანელობაზე ეთქმით სამდურავი: რაიაღმასკომის თავმჯდომარე ხშირად დაგვხედავს ხოლმე, უფრო — მოულოდნელად მოდისო. ეს ნარკვევი რომ დაიბეჭდება, კარდანახის საბავშვო სახლში უკვე შეყვანილი იქნება მუდმივი გაზი.

ბავშვთა სათამაშო ოთახში შევედით. თხუთმეტამდე ბავშვი თამაშობდა, სულ უფროსი ექვსი წლისა თუ იქნებოდა. დირექტორის მოადგილემ, მხიარულმა ახალგაზრდამ შემოაღო კარი და ალერსით მიმართა პატარებს:

— აბა, რომელია ჩემი შვილი!

ყველანი წამოიშალნენ, მისცვივდნენ და ხელები გაუწოდეს.

თვალი სხვაზე გადავიტანე, თორემ ავტირდებოდი. მაინც ვერ მოვერიე თავს. დამხმარე მეურნეობის დათვალიერება მოვიმიზეზე და ეზოში გავედი. მერი წამომეწია, მხარზე ხელი შემახო და მითხრა:

— რას იზამ, ძმაო, ამ ერთხელ უნდა აიტანო, მე, აკი, სულ ამ დღეში ვარ!

აქაურ აღსაზრდელებს სალამს ვერ დაასწრებ:

— გამარჯობა, ძია!

— გამარჯობა, პაპავ!

— როდის მოვა ჩვენი ზაზა?

მერის შევხედე.

— ზაზა ბაწელაშვილზე ამბობს, — მითხრა მერიმ.

ვიცოდი, ამ საბავშვო სახლში იზრდებოდა მწერალი და მსახიობი ზაზა ბაწელაშვილი. არ მალავს, პირიქით, ეამაყება კიდეც.

— მალე მოვა, შვილო, ძალიან მალე.

— ხშირად მოდის ხოლმე ზაზა, — მითხრა მერიმ — როგორ შეიძლება აქეთ მოხვდეს და არ შემოიაროს საბავშვო სახლში. ხილი მოაქვს, საჩუქრები, წიგნები... ლექსებს უკითხავს ბავშვებს... ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან. ისეთი მუსიკალური ნიჭი აქვთ, სმენა... არ გეჩქარებოდეს, შენთვის გავამართვინებდით კონცერტს... ახლახან, ოთხი დღის წინათ იყო ზაზა და დაიბარა, მალე მოვალო. ყოველდღე ელოდებიან.

— მოვა, შვილო, მალე მოვა ზაზა! — ვეფერებით პატარას.

გახარებული ბავშვი გარბის, სხვასაც უნდა გააგებინოს, მალე რომ მოვა ზაზა, — ჩვენი ზაზაო, ჩვენი საყვარელი, კეთილი ზაზაო.

კეთილ მოლოდინს რა სჯობს! და.., ნუმც მოშლოდეთ სიკეთე.






# მარიამ ბოჭორიძე

პროფესიონალი რევოლუციონერის მიხო ბოჭორიძის გავლენით მისი დედა ნინო, დეიდა ბაბე და მარიამი გასული საუკუნის მიწურულს ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი უშიშრად, გაბედულად ასრულებდნენ პარტიის ურთულეს დავალებებს: არალეგალურ სტამბებში მუშაობდნენ, იარაღს იძენდნენ, პროკლამაციებს და რევოლუციურ ლიტერატურას ავრცელებდნენ, პოლიტპატიმრებს ეხმარებოდნენ. მათი ბინა თბილისში ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი საიმედო კონსპირაციული პუნქტი იყო: აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და არალეგალურ სხდომებს მართავდნენ: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, ა. წულუკიძე და სხვები.

ამ რევოლუციური ოჯახის საუკეთესო წარმომადგენელია მარიამ ზაქარიას ასული ბოჭორიძე. დაიბადა თელავში 1876 წელს. სწავლობდა თელავის სასწავლებელში, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლას თავი დაანება და დედასთან ერთად 90-იანი წლების ბოლოს თბილისში ჩამოვიდა. 20 წლის ქალიშვილი იყო, წითელი ჯვრის არალეგალური ორგანიზაციის წევრად რომ მიიღეს და პოლიტიკურ პატიმრებს დახმარებას უწევდა, საჭირო ცნობებს, ლიტერატურას, ფულს, თეთრეულს აწვდიდა.

მარიამ ბოჭორიძე განსაკუთრებით გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ვაჟკაცური გამბედაობით, შეუპოვრობით, ასრულებდა პარტიის ისეთ დავალებებს, რომლებიც ყოველთვის დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული.

1903 წლის ბოლოს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ დაიწყო გაზეთების, ბროშურების და პროკლამაციების ბეჭდვა. მარიამი გარდა იმისა, რომ კომიტეტის წევრებს შორის ამყარებდა კავშირს, პროკლამაციებსა და ლიტერატურას ისეთი საზრიანობითა და წინდახედულებით ავრცელებდა, რომ ერთხელაც არ ჩავარდნილა.

პარტიის დავალებით 1905 წლის ნოემბერში მარიამ ბოჭორიძე ამხანაგების ჯგუფთან ერთად ქუთაისის ციხიდან ხვრელის გაყვანაში მონაწილეობს (იარაღის გატაცების მიზნით), ხოლო 1906 წლის ივნისში, როგორც მებრძოლი სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის წევრი, მეტეხის ციხეში თხრის ხვრელს, საიდანაც მოხერხდა რამდენიმე პოლიტპატიმრის გაქცევა. გავიდა კიდევ ერთი წელი და მარიამი აქტიურად მონაწილეობს თბილისში, ყოფილ ერევნის მოედანზე კამოს მეთაურობით მოწყობილ ხაზინის ფულის ცნობილ ექსპროპრიაციაში.

ამ მეტად რთული და საშიში ოპერაციების წარმატებით ჩატარების შემდეგ, პარტია მარიამ ბოჭორიძეს სხვებთან ერთად გზავნის ქუთაისში საგუბერნიო ციხიდან პოლიტპატიმრების გაქცევის მოსაწყობად. მეფის აგენტურის თვალის ასახვევად ქუთაისში, ციხის მახლობლად, მან გახსნა წინდის საქსოვი სახელოსნო. ამ სახლიდან ციხემდე რევოლუციონერებმა გათხარეს ხვრელი და 1907 წლის 26 სექტემბერს გაათავისუფლეს 38 პოლიტპატიმარი (მათ შორის იყვნენ ლ. ქიაჩელი, თ. ჩუბინიძე, დ. სულიაშვილი), რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სიკვდილი ან კატორღა.

1908 წელს მარიამი კამოს მებრძოლ ჯგუფთან ერთად ბაქოშია და სპარსეთის რევოლუციის მონაწილეებს აწვდის იარაღს, მონაწილეობს ბაქოს ციხიდან პატიმრების გაქცევაში.

1909 წლის დამდეგს ბაქოდან თბილისში დაბრუნებული მ. ბოჭორიძე გორში იგზავნება, რათა იქ სხვებთან ერთად ხაზინის ფულის ექსპროპრიაცია მოახდინოს, მაგრამ თვენახევრის დაძაბულმა მუშაობამ უქმად ჩაიარა, ამჯერად დავალების შესრულება ვერ მოხერხდა, რადგან ისინი პროვოკატორმა გასცა. მარიამი ამხანაგებთან ერთად დააპატიმრეს და ხუთ წელიწადს იჯდა ქუთაისისა და თბილისის საგუბერნიო ციხეებში.

1917—1920 წლებში მარიამ ბოჭორიძე ჩვეული შეუპოვრობით იბრძოდა მენშევიკური მთავრობის დასამხობად, ეწეოდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას ხაშურსა და ჭიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მ. ბოჭორიძე ახალი ცხოვრების, სოციალისტური მშენებლობის ფერხულში ჩადგა.

1930 წელს ბრმა შემთხვევამ მარიამ ბოჭორიძეს სიცოცხლე მოუსწრაფა—ტრაგიკულად დაიღუპა ავტომობილის კატასტროფის დროს. თბილისის მშრომელებმა დიდი პატივით დაკრძალეს ხუდადოვის ტყის ძმათა სასაფლაოზე.

**ნინო ჩირაძე,**
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.



# 150



# რაც ჩაგანძღლდა გულს შიგნი...

დრო არ იცდის, წარსული უკან იხევს, მაგრამ დაუვიწყარი, ამაგდარი სახელები სიყვარულის მადლით იმოსება და მაღლდება ხალხის გულში, შეგნებაში, ხსოვნაში. და კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პატარა ეპიზოდსაც კი, რაც დაკავშირებულია დიდი მოღვაწის სახელთან, მის ყოველდღიურ საქმიანობასთან. ჩვენი, მათი თანამედროვეების ვალია მოგონებების ნამცეცებიც კი შევაგროვოთ და მივიტანოთ მათი ხსოვნის საკურთხეველზე. აკი ჩვენი დროის დიდმა პოეტმა და ლიტერატურის თავდადებულმა მკვლევარმა გ. ლეონიძემ ჩაუყარა საფუძველი მოგონებათა აკინძვას. როცა ლიტერატურული მუზეუმის სახელით წიგნად გამოსცა მოგონებათა კრიალოსანი, სწორედ ეს გარემოება მაბედვინებს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომელს გავიხსენო დიდი პოეტის რამდენიმე დღე საგურამოში.

გიორგი ლეონიძეს ანდამატივით იზიდავდა საგურამო, გურამიშვილთა ნასახლარი, საქართველოს ავბედითი ისტორიის უტყვი მოწმე ორასწლოვანი ბებერი კაკლის ხე, ადგილი, სადაც ილიამ ჰპოვა ბობოქარი სულის მყუდრო სავანე. აქ, მოჩუხჩუხე ილიასეულ წყაროსთან, მას უყვარდა საუბარი საგურამოს ისტორიული წარსულისა და, კერძოდ, დავით გურამიშვილის შესახებ. გიორგი ლეონიძეს ზედნაშენის მთის კალთაზე. ილიას სახლის მახლობლად აღმოჩენილი ნანგრევები დავით გურამიშვილის ოჯახის ნასახლარად მიაჩნდა. მას ხშირად უთქვამს: მომავალში აქ უნდა აღიმართოს შენობა, სადაც მოთავსდება დავით გურამიშვილის ლიტერატურული მემორიალიო. პოეტის ჩანაფიქრის განხორციელება მართლაც რომ დიდი ეროვნული საქმეა. იგი კიდევ უფრო გაამაგრებს საგურამოდან მირგოროდამდე გადებული ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ხიდის საძირკველს, გიორგი ლეონიძეც ხომ დიდი დამფასებელი იყო ამ მეგობრობისა!

ერთხელ პოეტმა საგურამოში უკრაინელი სტუმარი გამოგზავნა და თან ასეთი შინაარსის ბარათი გამოატანა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორის სახელზე.

„სალამი გენადი! ამხანაგი პომიანიკი არის მირგოროდიდან. ძალიან აინტერესებს საგურამო. ჩამოვიდა ვითარცა ელჩი მირგოროდისა და შენ იცი... აჩვენე დავითის ნასახლარი და ცოტა საგურამოს ღვინოც დაალევინე. მე, მექნება საბურავები თუ არა, ამოვალ. გიორგი ლეონიძე“.

ერთ-ერთი ჩვეულებრივი სტუმრობის დროს გიორგი ლეონიძე ილიას სახლის აივანზე იდგა, ჯერ დაფიქრებული გაჰყურებდა საგურამოს გადასახედს, შემდეგ მოგვიბრუნდა და გვითხრა თანამშრომლებს: — ჩვენ ვიმყოფებით ოლღა გურამიშვილის მამულში, ვხარობთ ამ კულტურის კერით, რომლის ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ამ ამაგდარი მანდილოსნის სახელთან. თუ გიფიქრიათ, რომ ოლღა გურამიშვილის ღვაწლს ერის წინაშე გამომზეურება უნდა; ამასთანავე, არ დაგავიწყდეთ, რომ ის დიდი დავით გურამიშვილის გენეალოგიის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ბერმუხის ჩრდილში ამოსული იაც უნდა შევნიშნოთო.

ბატონ გიორგის წინადადებითა და რჩევით დავიწყე ოლღა გურამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლა, როცა თემაზე მუშაობა დავამთავრე (გამიზნული იყო მუზეუმის სამეცნიერო სესიისათვის), ჯერ, მისივე წინადადებით, ბატონ გიორგის მივუტანე, წაიკითხა, მომიწონა, წამახალისა და ხუმრობით დაუმატა: სადოქტოროდ თუ არა, საკანდიდატოდ მაინც გამოდგებაო. მონოგრაფიის თეზისები გამოქვეყნებულია ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესიის თეზისების კრებულში (სესია ჩატარდა 1961 წლის ივნისში, მას ესწრებოდა გიორგი ლეონიძე).

1960 წლის ზაფხულში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი მეცნიერი — ქართველოლოგი დავით ლანგი. გიორგი ლეონიძემ ის საგურამოში ჩამოიყვანა, დაათვალიერებინა ილიას კარმიდამო; თან უხსნიდა, რომ ილიას ოჯახისათვის უცხო არ იყო ინგლისელი სტუმრების მიღება, მუზეუმის დარბაზებშიც ლანგს მეგზურობა თვითონ გაუწია, (მას უყვარდა, როცა საპატიო სტუმარს მუზეუმის ექსპოზიციაზე თვითონ ესაუბრებოდა). მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, როცა ლანგმა საგურამოს სახლის აივნიდან გადაიხედა დ საგურამოს ბუნებითაც მოიხიბლა, აღტაცებულმა თქვა: ეს ადგილი მექაა ქართველებისათვისო.

შემდეგ დ. ლანგის პატივსაცემად ილიას წყაროსთან, დიდი კაკლის ხის ჩრდილში, ტრადიციული ქართული სუფრა გაიშალა — სწორედ იქ, სადაც 1896 წელს დიდმა ილიამ საქართველოს ინგლისელ მეგობრებს — უორდტროპებს უმასპინძლა. ამჯერად ინგლისელ ქართველოლოგს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მასპინძლობდა. გ. ლეონიძესთან ერთად აქ იყვნენ ქართველი მეცნიერები: ა. ბარამიძე, გ. ციციშვილი, ი. მეგრელიძე, ქ. სიხარულიძე და ინსტიტუტის სხვა თანამშრომლები. სუფრას ამშვენებდა ქართველი პოეტის ოქროპირობა, თვითონ ინგლისელი სტუმარიც ამ სუფრაზე მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა.

მუშაობა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში განვაგრძე. სამწუხაროდ, მალე გარდაიცვალა გიორგი ლეონიძე, რითაც ილიას სახლ-მუზეუმებმა დიდი გულშემატკივარი და მფარველი დაკარგა. თითქოს დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ამ ლამაზ მოგონებებს დრომ ვერა დააკლო რა!

ლიანა გიორგაძე,
თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ წულეისკირი

# რატი



(თანამედროვე ლეგენდა)

მხატვარი კარლო ფაჩულია

დაიღუპა შუკუ და ცირუს ოჯახი! ჩვიდმეტი წლის ბიჭი ზღვამ მოსტაცა. ჭირს ჭირი დაემატა: გვამი ვერ იპოვეს. ჩანთქა ზღვამ რატი, ჩაყლაპა და საშველი არ დაადგა, ვერც მაშველებმა, ვერც მყვინთავებმა დამხრჩვალი ყმაწვილის კვალსაც კი ვერ მიაგნეს.

საშუალო სკოლა ხუთებზე დაამთავრა, ძმას ეუბნებოდა, ლაჟე ხარ, მისაღები გამოცდები როგორ ვერ ჩააბარეო. ჩამოვიდა თბილისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხუთებზე ჩააბარა და ჩაირიცხა. ძმასაც ჩააბარებინა, გამოაყოჩაღა, გამოათამამა და ისიც ხუთოსანი ჩაირიცხა. ორივენი გახარებულნი ჩამოვიდნენ მშობლიურ ქალაქში. მთელ ქალაქს მოეფინა ორი ძმის უმაღლესში სხვის დაუხმარებლად ჩარიცხვის ამბავი და აჰა, უბედურებაც, დარახტულ ცხენზე ამხედრებული, კარზე მოადგათ.

რატი ზღვაზე ამხანაგებთან ერთად წასულა საბანაოდ; თბილისიდან გამარჯვებით დაბრუნებულს, გახარებულს, ბედნიერსა და ატაცებულს, შეუცურავს ზღვაში, რა მოხდა იქ, რა შეემთხვა, ცა დატყდომია თავზე, თუ ზღვას ჩაუნთქავს, არავინ იცის. წასულა და წასულა, გამქრალა ყმაწვილი.,..

პალიასტომიდან გამონადენი კაპარჭინა, სადაც ზღვას უერთდება, იქ დამხრჩვალა. იქ უბანავია ბიჭებთან ერთად და იქ გამქრალა. მოდიოდნენ ამ ადგილას შუკუს გამოგზავნილი კაცები, გახედავდნენ ზღვას, გახედავდნენ კაპარჭინას, თავს გადააქნევდნენ, დადგებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და გეგმებს აწყობდნენ, რა ეღონათ, როგორ ეპოვათ გვამი. ბიჭები, ვინც უკანასკნელად ნახა რატი, თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰყავდათ და მათი ნათქვამის მიხედვით უშვებდნენ ზღვაში მყვინთავებს.

ფოთი პატარა ქალაქია, ციროს და შუკუს თითქმის მთელი ქალაქი იცნობდა. დილიდან დაღამებამდე მათი სახლი სავსე იყო შემცხადებლებით. თანამგრძნობნი ოჯახს ბევრი ჰყავდა, მაგრამ ვის რა შეეძლო! შავ ზღვას ვინ რას დააკლებდა?

როცა სამხედრო მყვინთავებმაც ვერ იპოვეს გვამი, მებადურები მოიყვანეს და კაპარჭინაც მოაჩხრეკინეს, — ეგებ ზღვამ დამხრჩვალი პალიასტომისაკენ გაგზავნაო.

თურმე ზღვა როცა მიიქცეოდა, პალიასტომიდან წყალი ზღვისკენ მიედინებოდა, ხოლო როცა მოიქცეოდა, ზღვიდან პალიასტომისაკენ ბრუნდებოდა. თუ პალიასტომში ჩაიტანა, ვერ ვიპოვითო, — დანანებით ჩიოდნენ აქაური ზღვისა და ტბის ბუნების მცოდნენი.

ციროს გოდებას ცის ნატეხი ძირს ჩამოჰქონდა. როცა ზღვიდან მოსულნი ამბავს მოიტანდნენ ამდენი და ამდენი მეტრის სიღრმეში ჩავიდნენ მყვინთავები, მაგრამ ვერაფერი იპოვესო, გამოვარდებოდა აივანზე, მისი სახლიდან ზღვა არ მოჩანდა, მაგრამ ზღვისკენ მიღრეჯდა პირს და ხმის ჩახლეჩამდე ეძახდა შვილს.

— რატი! რატი, ბიჭოო!.,

თითქოს ბურთის სათამაშოდ წასულს ეძახისო.

— რატი, შვილო, მოდი შენს დედასთან, მოოდი! — გაისმოდა დედის სასოწარკვეთილი ძახილი.

ასეთი დაძახილი ეზოში შეკრებილ ხალხზე უფრო მოქმედებდა, ვიდრე მოთქმა და წივილ-კივილი, კაცებიც კი ამოიღებდნენ ცხვირსახოცს და დაღრეჯილ პირსახეს იფარავდნენ, თავს ვერ იკავებდნენ, ცხვირსახოცში ქურქულებდნენ.

გულხელდაკრეფილი შუკუ უაზროდ დაბორიალობდა ოთახიდან ოთახში, აივანზე, კიბეზე, ზოგჯერ ეზოშიც ჩამოვიდოდა, გაერეოდა შეკრებილ ხალხში. ათას რამეს სთავაზობდნენ, ათას რამეს ურჩევდნენ, ჭკუას ასწავლიდნენ, შენ პირველი ხომ არა ხარო, ასეთ დროს უნდა გამაგრდეო. შუკუ მათ ყურს არ უგდებდა. სადღაც, შორს იყო წასული, არ შეეძლო მოსმენა. მხოლოდ მაშინ მოეგებოდა გონს, გამოფხიზლდებოდა, დაბრუნდებოდა ამ ქვეყანაზე, როცა ზღვიდან მობრუნებული გვამის მაძიებლები დამნაშავეებივით შემოლაგდებოდნენ ღიად დატოვებულ ჭიშკარში და თავჩაღუნულები დადგებოდნენ შუკუს წინ.

— უნდა მოვძებნოთ მაჰმუდა მყვინთავი და ფული წინასწარ მივცეთ! — ურჩიეს შუკუს.

— ფული! — შესძახა შუკუმ, — არ გრცხვენიათ, მაგას რომ ამბობთ! აგერ ჩემი სახლ-კარი და მთლად მივცემ ყველაფერს, ოღონდ მკვდარი მიპოვოს.

— მაჰმუდა „ვადალაზი“! — ჩაიბურტყუნა გვამის მაძიებელთა უფროსმა, — ვითომ ვინ არის ასეთი მაჰმუდა „ვადალაზი“! სად ვიპოვოთ მაჰმუდა „ვადალაზი!“ მაგ კი არა, მთელი სამხედროებია ზღვის ფსკერზე ჩასული, ფული იმათ უნდა მივცეთ ჯერ!..

— „ვადალაზი“ თორემ, სად იპოვით ძველ, ნამდვილ „ვადალაზს“, საქმე რომ იცის, ისეთს, პატიოსანიც რომ არის, რომ არ მოგატყუებს... თუ ფულს წინასწარ არ მისცემ, გადამალავს შენს მკვდარს წყლის ქვეშ და იყავი მერე...

— თუ დაგვიჯერებთ, მაჰმუდაა მაგ საქმის სპეცი, — გაისმა კვლავ ხალხიდან.

— მოვიყვანოთ ეს მაჰმუდაც და ფულიც წინასწარ მივცეთ, — უთხრა ეზოში შეკრებილ ჭირისმოზიარეთ შუკუმ.

მეორე დღეს მაჰმუდაც შეუდგა საქმეს. მაგრამ ამაოდ. საღამომდე იმუშავა, საღამოს დაბეჯითებით თქვა: ზღვაში არაფერი არ არის, ალბათ კაპარჭინამ პალიასტომში წაიღოო.

რატის სიკვდილზე დიდი ზარი რა უნდა ყოფილიყო ციროს და შუკუსათვის! მათთვის ხომ ქვეყანა დაიქცა და მზე ცაში ჩაქრა. მაგრამ მაჰმუდას ხელცარიელმა ამოსვლამ ზღვიდან სულ მოუღო ბოლო ორივეს, მათ საცოდავ, დაგლახაკავებულ სახეებს ახლობლებიც კი თვალს ვერ უსწორებდნენ.

თურმე ცხედარი დიდ რამეს ნიშნავს ჭირისუფლისთვის. მართალია, უსულოა, მკვდარია, მაგრამ ხედავს, ხელით ეხება, ეფერება, ზრუნავს მასზე, როცა მიწას მიაბარებს, მოვლა-ზრუნვა კვლავ გრძელდება, ხშირად ნახულობს გარდაცვლილის საფლავს, გვერდით მოუჯდება, დასტირის, ეფერება... ყვავილებს ურგავს გარშემო, ამით სულდგმულობს.. ბედმა ესეც კი არ გამოიმეტა ციროს და შუკუსათვის: ბიჭი მეგობრებთან ერთად წავიდა საბანაოდ ზღვაზე და უკან აღარ მობრუნდა, არც ცოცხალი ჰყავთ და არც მკვდარი. მკვდარი შვილი რომ ზალაში გისვენია და დედა ზედ ცხარე ცრემლით დასტირი, თურმე რა „ბედნიერება“ ყოფილა!

ზალაში, სადაც მკვდარი რატი წესით და რიგით უნდა სვენებულიყო, ცარიელი სკამები იდგა ოთხ კედელს შორის. ავეჯი გაეტანათ, სკამები კედლებთან ჩაემწკრივებინათ, ოთახი საცხედროდ მოემზადებინათ, მაგრამ ცხედარი აღარსად იყო..

ციროს იმ საათიდან, იმ წამიდან შეუჩერებლად კიოდა და მოთქვამდა, როცა შვილის დაღუპვის ამბავი მეზობლებმა მოუტანეს, გვერდით მოხუცი დედა, რატის ბებია, ბიცოლები და მამიდები ედგნენ და მოთქმაში ეხმარებოდნენ. ხან ბებია გაჰყავდათ გულწასული, ხან დედა, ხან ბიცოლა, ხან მამიდა...

გავიდა ერთი დღე, ორი დღე, მკვდარი არ ჩანდა. ვერც მყვინთავები პოულობდნენ, ვერც მებადურები... მეზობლები ცალკე, შუკუს უკითხავად შეყრილიყვნენ, კარგად მცურავ-მყვინთავი ბიჭები ერთად ეძებდნენ უბედურ რატის.

მესამე დღეს ელოდნენ გვამის გამოჩენას, ნაღველა გაუსკდება და ზღვა თვითონ ამოაგდებსო.

არც მესამე დღეს გამოჩნდა.

უხუცესებიც კი შეშფოთდნენ. დიდი წესრიგი ირღვეოდა. ზღვა თავის წესს გადადიოდა, მკვდარს არ იძლეოდა. რა ექნათ?..

— რაც აქამდე გვიქნია, ის უნდა ვქნათ, — ურჩევდნენ შუკუს, — უნდა გაიშალოს ნიშანი, წესისა და რიგისამებრ დავიტიროთ და დავმარხოთ.

ნიშანი ხუთშაბათს უნდა ჩავფლათ მიწაში... — კანონივით გამოაცხადეს.

— რატომ ხუთშაბათს?.. — იკითხა სევდიანად შუკუმ.

— წყალში დამხრჩვალს ხუთშაბათს, ცაამხას (ცის დღეს) ვასაფლავებთ, სხვა დღე ვაშინერს, (ტაბუ ადევს)... — მიუგეს.

— როგორ, — შეჰკივლა ციროსმ, — შვილი აღარ ვეძებო?..

— არავის უთქვამს აღარ ვეძებოთ, წესი დავიცვათ, ჩამოსულებს პატივი ვცეთ, როგორც ჩვენს წინაპრებს უქნიათ, ჩვენც ისე დავიტიროთ უკვალოდ გამქრალი ადამიანი, — ნიშანი დავასაფლაოთ.

ციროსმ და შუკუმ ხალხის ხმას ყური მიუგდეს: მართალია, შვილის ნაცვლად მისი სამოსის დატირება, გულის ჭრილობას კიდევ უფრო აწყლულებდა, მაგრამ რა ექნათ, რახან ოჯახის კეთილისმყოფელი ჭირნანახი, ცხოვრებით გამობრძმედილი დროული კაცები ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ, მათ სიტყვას არ გადავიდნენ: ჭირისგამრიგეებს პანაშვიდებიც დაანიშნინეს და დასაფლავების დღეც.

როცა რატის პოვნის იმედი სულ მთლად გადაიწურა, კაცებმა ფარ-ხმალი დაყარეს, ზღვაზე მხოლოდ-ღა ქალების სურვილით მიდიოდნენ და უკან თავჩაღუნულები ბრუნდებოდნენ. უცებ ციროსმ გამოაცხადა.

— მე წამიყვანეთ ზღვაზე, ჩემს რატის ზღვიდან მე ამოვიყვანო.

ციროს რომ ჭიშკრისაკენ გავარდებოდა, ან აივნის მოაჯირს გადაეკიდებოდა და კიოდა: რატი, რატი ბიჭოო, ოჯახის ახლობლებმეგობრები, ჭირის მოზიარენი ერთმანეთს უყურებდნენ, უბედურმა მწუხარებას ჭკუა გაატანაო. ახალ ახირებასაც — ჩემს რატის ზღვიდან მე ამოვიყვანო, ჭკუათმყოფელის ნათქვამად ვერ მიიჩნევდნენ, მოწიწებით შესცქეროდნენ და ვალერიანის წვეთებს ასმევდნენ.

* * *

შუკუ ყოველ დილით სისხამზე მიდიოდა ზღვაზე, ვიდრე მყვინთავები მოვიდოდნენ, შუკუ და რამდენიმე ჭირისმოზიარე მეზობელ-ახლობელი, იმ ადგილებს დარაჯობდნენ, სადაც სავარაუდო იყო გვამი ზღვას გამოერიყა.

მეხუთე დღეს, დილაბნელზე შუკუსთან ერთად ციროც წამო-

იჭრა საწოლიდან და მეც მოვდივარ, ჩემს რატის ზღვიდან მე ამოვიყვანო — დაბეჯითებით თქვა კვლავ.

შუკუს პასუხად არაფერი უთქვამს. მწარედ გაეღიმა, კარგი, წამოდიო, თავი დაუქნია.

რახან ცირუმ წასვლა გადაწყვიტა, სხვა ჭირისუფალმა ქალებმაც მოისურვეს წამოსვლა.

— რა მოგივიდათ, ქალებო, — გაწყრა შუკუ, — ერთ მანქანაში ამდენი ადამიანი ხომ ვერ ჩავეტევით!.

ჭიშკართან მართლაც ერთი მანქანა იდგა, ჭირისმოზიარე კაცებით სავსე, წინ ერთი ადგილი ჰქონდათ შუკუსათვის. ასე მიდიოდნენ ყოველ დილით, ქალების უეცარ მძლავრობას არ მოელოდნენ.

— ჩვენ ფეხით წავალთ, — თქვა ცირუმ, შავი თავსაფრით თავპირი ისე ჩამოიბურა, თვალიც არ მოუჩანდა. ცირუმ ახირებებს ერთი ახირებაც დაუმატა, ფეხზე გაიძრო ფეხსაცმელები, კუთხეში მიყარა, ფეხშიშველი წარუძღვა შავით მოსილ ქალებს და ზღვისკენ აიღო გეზი.

შუკუს და სხვა კაცებსაც საქციელი წაუხდათ, რახან ასეა, ჩვენც ფეხით წავიდეთო, — ერთმანეთს უთხრეს და ქალებს უკან მიჰყვნენ.

ზღვა შორს არ იყო. ზაფხულის ცხელი დღეები იდგა და ფეხშიშველა სიარულიც მაინცდამაინც საძნელო საქმედ ალბათ არ მიიჩნეოდა, მაგრამ თანამედროვე ქალაქში, შავით დაყურსული ფეხშიშველა ქალის გამოჩენა ქუჩაში ელდას იწვევდა.

— უბედური! უბედური! — უკან დაადევნებდნენ.

სისხამ დილას ქალაქის ქუჩები ცარიელი იყო. აგერ-იგერ ჭიშკართან გაკრთებოდა ადრე ამდგარი დიასახლისი და ვიშვიშებ და ცირუს დანახვაზე.

ზღვა რომ გამოჩნდა, უკიდეგანო, უსასრულო ზღვის ფონზე სხვაგვარი ელფერი დაედო დილაადრეულ ლიტანიას: წინ შავი თავსაფრით თავდარქმულ-დაბურული ცირუ მიდიოდა, ძაძის კაბა კოჭებამდე სცემდა, მხოლოდ შიშველი ფეხის ტერფები მოუჩანდა. ხმადაბალ მოთქმას წამითაც არ წყვეტდა. უკან შავით მოსილი ქალები მოჰყვებოდნენ და ხანდახან შეენაცვლებოდნენ. ქალებს შუკუ და ჭირისმოზიარე მამაკაცები თავდახრილნი მოჰყვებოდნენ. აქედან ზღვაც, კაპარჭინაც, პალიასტომიც კი მოჩანდა. დილაბნელზე კოლხეთის ცის ქვეშ, ზღვის პირას მოდენილი ეს ლიტანია იმ შორეულ კოლხ წინაპრებს მოგაგონებდათ, ზღვისგან გამწარებულნი, მაინც ზღვისკენ რომ ისწრაფოდნენ, ხსნას ზღვისგან რომ მოელოდნენ.

ზღვის დანახვამ ცირუ სულ მთლად შეშალა და გასაკავებელი შეიქნა, ჩემი რატი იქ არისო, ზღვისკენ მიიწევდა და ზღვას შეჰკიოდა. მაცალეთ, ჩემი რატი დედის ხმას გაიგონებს და ზღვიდან თვითონ ამოვაო, — ქალებს უმტკიცებდა.

— რატი, ბიჭო! — გაჰკიოდა ზღვას ხელებგაკავებული ცირუ. ქალები ხელს მაინც არ უშვებდნენ, თუმცა ატყობდნენ, რომ ცირუ ნელ-ნელა მშვიდდებოდა და ზღვის დანახვასაც თანდათან ეგუებოდა.

— მოვიდა შენი უბედური დედა, ბიჭოო! დაენახვე შენს დედას, ბიჭოო! — შეუსვენებლად კიოდა ცირუ.

ზღვა ცირუს ხმას წამში ნთქავდა.

ცირუმ კაცებს გამოჰკითხა, თუ სად ეგულებოდათ რატის გვამი, სად ეძებდნენ მყვინთავები, კაცები საითაც იშვერდნენ ხელებს, ცირუც იქით შეჰკიოდა ზღვას:

— რატი! რატი! რატი!

როცა მყვინთავები მოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ, ცირუ ზღვას ნაპირ-ნაპირ გაუყვა, მონიშნული ადგილი მყვინთავებს დაუტოვა, თვითონ შვილს სხვაგან დაუწყო ძებნა.

— იქით სად მიდიხარ, ცირუ, დროა შინ წავიდეთო, — შესთავაზა მორიდებით შუკუმ.

ცირუს უკან არც მოუხედია, შუკუცა და სხვა მამაკაცებიც იქ, მყვინთავებთან დატოვა და თვითონ უგზო-უკვალოდ გაუდგა გზას. ზედ წყლის პირზე მიდიოდა. ზღვა ნელა ღელავდა, ასეთ ჩუმ ღელვას აქაურები ღელვას არც ეძახიან, ასეთი ზღვა მშვიდი ზღვაა, მოვარდებოდა ქაფიანი წყალი, ცირუს შიშველ ფეხის ტერფებს დაუსველებდა და უკან წარონინდებოდა.

— აქეთ გამოდი, აქეთ გამოდიო, — ეხვეწებოდნენ ქალები, მაგრამ ცირუ, დაბეჯითებით მიიწევდა ზღვისკენ. ქალებმა კარგად იცოდნენ, ძალიანაც რომ მოეწადინებინა, აქ თავს ვერ დაიხრჩობდა, აქ ზღვა კოჭამდე იყო, მაგრამ ხიფათიც ხომ ყოველ წამს თან ახლდა ზღვას.

— რატი, რატი!, — გაჰკიოდა ცირუ და უკვე კოჭამდე წყალში მიტოპავდა.

სხვა გზა არ იყო, ქალებმაც გაიხადეს ფეხზე, წინდა-ფეხსაცმლები იღლიაში ამოიჩარეს და ცირუს ამოუდგნენ მხარში.

მუხლამდე წყალში რომ აღმოჩნდნენ, ქალებმა ყაყანი და დავა-კამათი გაუმართეს ცირუს. გაუჭირდათ წყალწყალ სიარული...
შენი თავი არ გებრალება, მაგრამ ჩვენ რას გვერჩიო...

— აქ არის ჩემი შვილი, ქალებო და მე სახლში რა მინდაო! — გამწარებული შეკივლებით ქალებს ხმა ჩააკმენდინა.

თქვენ წადით, რას მომსდევთ, მე ჩემს შვილს ამოვიყვან და დავბრუნდებიო...

ქალები უკვე კაბებაწეულები იდგნენ მუხლამდე წყალში. რა ეღონათ არ იცოდნენ, ერთმანეთს უყურებდნენ, — არ გაგვექცეს, ღრმა წყალში არ შევარდეს და თავი არ დაიხრჩოსო. ხელი მაგრად მოვკიდოთო, ერთმანეთს აგულიანებდნენ.

კარგა შორს წასულიყვნენ, არც მყვინთავები, არც ნაპირზე დარჩენილი კაცები აქედან აღარ ჩანდნენ უკვე, ნაპირიც გვარიანად შორს იყო.

ცირუ უცებ გაჩუმდა და წყალს დააჩერდა გაბრუებული. აქ ზღვა არც იგრძნობოდა. იმ ჩუმი ღელვისა და ქშენის ხმა, რაც ნაპირზე ისმოდა, აქ შრიალ-შხუილად ქცეულიყო. ლივლივა ტალღები ქალების ფეხებს ისე ელამუნებოდა, ვერც ამჩნევდნენ, მათ არსებობას. რას დაშტერებოდა ცირუ? ყველანი ახლოს მივიდნენ. გვერდით ამოუდგნენ და იმ ადგილს დაუწყეს ყურება, საითკენაც ცირუს მიეპყრო გულისყური.

— დედა, რატი! — ჩაჰკივლა წყალს ქალმა.

— იქ რატია, ქალებო! რატი, რატი!.. შენ შემოგევლოს შენი დედააა!..

ქალებმა ჯერ იფიქრეს, ეჩვენებაო, ისედაც ჭკუაზე არ იყო უბედური, ამ ზღვამ მთლად გადარიაო. მაგრამ სასწაული მალე საკუთარი თვალებით იხილეს. თუ წყალს მართლაც მთელი გულისყურით დააკვირდებოდით, სიღრმე მოჩანდა, ფსკერსაც კი დალანდავდა ადამიანი; თითქოს იმ ფსკერიდან დაძრულაო, ზედაპირისაკენ მოცურავდა გვამი, ხელები ოდნავ გაეშალა და ამოდიოდა. გეგონებოდათ, დამხრჩვალი არც იყო, ჩაყვინთა, ზღვის ფსკერამდე ჩააღწია და ახლა მაღლა ამოდისო.

ქალებმა, ყველამ ერთად, მორწმუნეებმაც და ურწმუნოებმაც პირჯვარი გადაისახეს.

ცირუმ ვერ მოითმინა, გაუსხლტა ქალებს, წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, თუმცა იქ წყალი უკვე ღრმა იყო და თავზე გადაუარა. რა ქნა იქ, წყლის ქვეშ, ქალებმა ვერ ჰკიდეს თვალი, ერთ წამში ხელების ფათურითა და ბათქუნით ამოვარდა წყლიდან და გულში ჩახუტებული თავისი დამხრჩვალი შვილი ქალებს უჩვენა.

— აა, ჩემი რატი, ქალებო!.. ხომ გეუბნებოდით, რატი დედის ხმას გაიგონებს და ზღვიდან ამოვა-მეთქი, აგერ ხომ ამოვიდა!.. რატი! რატი! ბიჭოოო!... — წელამდე წყალში იდგა ქალი, გულში ახუტებული თავისი რატი ეკავა და ისე იყო გახარებული, თითქოს ცოცხალი ეპოვოს.

ქალები როდის-როდის მოეგნენ გონს, მიეშველნენ უბედურ დედას, გვამი ნაპირზე გამოატანინეს, დაასვენეს ქვიშაზე და შავი თავსაფარი გადააფარეს. საკვირველი ამბავი ქალებმა შუკუს და გვამის მაძიებელ კაცებს შეატყობინეს. ხელათ მოიყვანეს მანქანა და ცხედარი შინ წაასვენეს.

გაოცებული მყვინთავები, მებადურები, გვამის მაძიებელი მეზობელ-ახლობლები, ყველანი, ვინც იმ დღეს ზღვისპირას შეყრილიყვნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: აქეთ გვამს რა უნდოდა, ან ის ქალი აქეთ რად წამოვიდა, ვინ შთააგონა, ვინ უთხრა — მისი შვილი აქეთ წაიღო ზღვამ, ვერაფერი გაგვიგიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დალილა ბედიანიძე,

ომკავშირისა და მაიაკოვსკის სახელობის
რემიების ლაურეატი.



* * *

ეს ვინ მაჩქარებს, რატომ მაჩქარებს?
რა მაქვს საჩქარო და მოსასწრები?
ხომ ახლა ვალებ სამყაროს კარებს
და ხომ წინაა ჯერ წლები... წლები...

ვინ გაჩნდა ჩემში? ჩემგან ვინ წავა?
ვინ არის იგი ანდა მე — ვინა?
არ ვიცოდი და — წერა მასწავლა.
არ მეცალა და — მომაცლევინა.

ვიყავი ქალი, უბრალო ქალი,
ყოველდღიური მტანჯავდა ვნება.
მან ამიხილა მძინარე თვალი
და დამანახა ჭეშმარიტება.

ეს ვინ მაჩქარებს? რატომ მაჩქარებს?
რა მაქვს საჩქარო და მოსასწრები?
აი, მივაწყდი სამყაროს კარებს
და ვეხვეწები... და ვეხვეწები:

„კარო, გაიღე! გაიღე, კარო!
რად არ იღები? რა გემართება?
არა, ჯერ უნდა გადაიტანო
ბევრი ტკივილი და ამაღლება!“.

* * *

ო, რამდენს ვიტევ! ო, რამდენს ვიტევ!
მადლობა შენდა, ძალავ ბუნების!
ვეცნობი სიტყვებს, ვეცნობი სიტყვებს,
მერე ამ სიტყვებს ვემსახურები.

ვემსახურები, რათა ვიცოდე
სიტყვა ბნელი და სიტყვა მზიანი.
გამოვარჩიო მადლი და ცოდვა
და მივეხმარო ადამიანებს.

* * *

თუ მართლა მე ვწერ,
რად მავიწყდება
როგორც კი დავწერ, ეს ჩემი ლექსი?
თუ ჩემი ხელით ეს — სხვა ირჯება,
ლექსები რატომ იბრძვიან ჩემში?

მაშ ღამით რატომ არ მაძინებენ,
რატომ მოდიან, რა უნდათ ჩემგან?
ვისი კარნახით და ვისი ნებით,
ეს ლექსი რჩება? ეს ლექსი ჩნდება?

მტკივა და მე ვწერ ლექსს, როგორც —
წამალს.
ის ფურცელს რჩება, მე მავიწყდება.
ვინ არის ჩემი ლექსების მამა?
ვგრძნობ, რომ ვარ დედა,
ლექსების დედა.

* * *

იქ, უცხოეთში არვის სჭირდები,
პირიქით, ყველა თვითონ გჭირდება.
თუმცა გზა-კვალი არ გახსოვს დედის,
მაინც უყვარხარ საკუთარ დედას.

რად გინდა ოქრო ან თუნდაც — გროში!
ხომ არ არსებობს, გულზე მოგეშვას,
სანამ სტუმარი ხარ სამშობლოში
და მასპინძელი ხარ უცხოეთში!

როდესაც კაცი კერიას მოშლის,
საით უძლვიან ალლო და გეში?
როდესაც უცხო ხარ სამშობლოში
და შინაური ხარ უცხოეთში?

სად დამბადებლის გარეშე ილხენ,
იქ ვის ამრავლებ, ვინ დაჰბადეო?
და უკეთესი სხვა რა მიიღე,
როცა დაჰკარგე ეს საქართველო?

* * *

როს ხელში ჯოხი აგიყვავდება
და როცა ცეცხლი გექცევა წყაროდ,
მაშინ ვინ არის შენი თავდები,
რომ ასე მოხდა და შენ შენ ხარო!

როს ხელში თევზი გაგიმრავლდება
და როს ბაღნარად გექცევა ხარო,
მაშინ ვინ არის შენი თავდები,
რომ შენ აქა ხარ და ქალი ხარო!

შეუნდობ, თუ არ ირწმუნეს შენი
და თუ ბოროტად იცვალეს ზრახვა,
შენ გადაივლი ზღვას ფეხშიშველი
და გაღმა გახვალ... და გაღმა გახვალ...

და ვინც დარჩება — ალალი იყოს
ეგ შენეული ბაღიც და წყაროც!
შენ წახვალ და თან წაიღებ სიტყვას,
მაგრამ ვინ მოვა შენს ნაცვლად ხვალო?

# ...და იშვა ქალაქი



დ. იაკობაშვილის ფოტოები.

მდინარე მაშავერას გაღმა მთაა, მთას გზა გასდევს და იქვე, ორიოდე ნაბიჯზე იწყება თეთრი, პატარა ქალაქი.

გზას ორნი მიჰყვებიან. ერთი შუახნისა, მეორე — ახალგაზრდა.

— თამარ დეიდა, რომელი წელიწადი იყო თქვენთვის ყველაზე სასიხარულო?

— ჩემთვის ყველა წელიწადი სასიხარულოა, რაც კი ვმუშაობ.

— ბედნიერი ყოფილხართ, ბედნიერი...

თამარს დღემდე ახსოვს ეს საუბარი, დღემდე თვალწინ უდგას ქალიშვილი, რომელსაც კომბინატიდან წასვლა გადაეწყვიტა. კიდევ ერთი დღე დარჩიო, სთხოვა. მხოლოდ ის ერთი დღე გვერდიდან არ უნდა მოშორებოდა იგი და ერთად უნდა მიეღოთ თითქოს უბრალო ფერადი ქვისაგან მადანი.

სპილენძს ადნობდნენ. დიდრონ კამერებში, თითქოს წყალში ქვა ჩააგდესო, ჯერ წრე გამოიკვეთა, მერე ბუშტები გაჩნდა აქაიქ, შემდეგ კი ყვითლად ამოვიდა ქაფი და სპილენძით დაიხუნძლა კამერები. ათუხთუხდა სპილენძი, თითქოს უთვალავი წვრილი ვარსკვლავი ერთად შეკრებილაო.

თამარს გულწრფელი, ბავშვური სიხარული ჩაუდგა თვალებში.

— საუკეთესო ხარისხისაა ეს კონცენტრატი, ხედავ კამერები სპილენძით აივსო. სპილენძი ზემოთ რომ ამოტივტივდება, მაშინ უკვე ვიცი, რომ ის ხარისხიანია. აი, ახლა ქაფი უნდა მოვხადოთ და შემდეგ გადაწმენდ კამერებში წავა, — უხსნიდა თამარი ქალიშვილს.

მოდიოდნენ ინჟინრები, ტექნოლოგები და მოწონებას გამოთქვამდნენ: — თამარს კონტროლი არ სჭირდებაო, იცის თავისი საქმეო...

მეორე დღეს საამქროში შესული თამარი მოულოდნელად შედგა. ზინა მუსელოვას მისთვისაც დაესწრო მოსვლა, გულმოდგინედ სინჯავდა წვრილად დაქუცმაცებულ მადანს. დღეს ის მეხუთე თანრიგოსანი, გამოცდილი ფლოტატორიაო, — ამბობს თამარი.

მინარევებისაგან მადნის გამოყოფას, მის დამუშავებას ერთ-ერთ უპირველეს საქმედ მიიჩნევენ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში.

გამამდიდრებლები, ფლოტატორები ფერისა და სიმძიმის მიხედვითაც ხვდებიან, როგორია მადნის სიმკვრივე, ხარისხი. შემდეგ ამის მიხედვით არეგულირებენ ტექნოლოგიურ პროცესს, ამდიდრებენ მადანს.

ამ ყველაზე ფაქიზსა და პრესტიჟულ მოვალეობას კომბინატში ქალებს ანდობენ, ვინაიდან ქალის მზრუნველობა, ყურადღება და გულისხმიერება სჭირდება მადნის გამდიდრებას, სწორედ ისეთი, როგორიც ჩვილ, თოთო ბავშვს, წუთით თვალს რომ ვერ მოაცილებ, წუთით რომ ვერ მიატოვებ.

— რეაგენტისა და ჰაერის საშუალებით უნდა ამოვკრიბოთ სპილენძი მადნიდან. თუ გულისყური მოვაკელით, ის ნარჩენად იქცევა. კარგმა გამამდიდრებელმა უნდა იცოდეს რამდენი პროცენტი რეაგენტია საჭირო კარგი ხარისხის სპილენძისა თუ ბარიტის მისაღებად. არსებობს ტექნოლოგიური რეჟიმი. ის კანონივით უნდა დაიცვა. სიზუსტე, აკურატულობა, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება ამ რეჟიმის დაცვას, მაგრამ არის გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც, როცა კარიერიდან სულ სხვა სახის მადანი მოდის, ისეთი, რომელსაც განსხვავებული ტექნოლოგიური რეჟიმი სჭირდება და, თუ მაშინ შენს გვერდით ტექნოლოგი ან ინჟინერი არ არის, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უნდა დაეყრდნო.

აი, ამ ცოდნამ და გამოცდილებამ მოუტანა გამარჯვებები თამარს. რამდენჯერმე გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, გააუმჯობესა მადნის ხარისხი და კომუნისტური შრომის დამკვრელი გახდა, იყო საქართველოს კომპარტიის XXV, XXVI და სკკპ XXVI ყრილობების დელეგატი, დაჯილდოვდა მესამე ხარისხის შრომის დიდებისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

უწყვეტი ციკლით მუშაობს გამამდიდრებელი ფაბრიკა. წუთითაც არ წყდება მადნის დნობა, გამდიდრება. ერთმანეთს ცვლიან მუშები, ოსტატები, ინჟინრები... ვინ ვეტერანი, გამოცდილი, ვინ ახალგაზრდა, ვინ მრავალშვილიანი. ყველაზე მეტ სითბოსა და სიყვარულს თამარისაგან მრავალშვილიანი დედები გრძნობენ.

— ხუთი შვილის დედა ხარ, ერთი საათით ადრე მაინც უნდა წახვიდე ბავშვებთან, შენს გასაკეთებელს კი მე გავაკეთებო ხშირად უთქვამს მანია აკოფოვასათვის.

— მერე, რამდენჯერ? თავად როგორ უნდა მოასწრო? ვენახი გაქვს, საქონელი გყავს, ავადმყოფი მეუღლე გელოდება, — მორიდებით შეეპასუხება მანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უშავს, ჩემო კარგო, მოვასწრებ. და ასწრებს თამარ სელიმაშვილი იმ სიყვარულისა და დაფასების გამოც, რასაც შის მიმართ კომბინატის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით, დირექტორი ვახტანგ სულამანიძე იჩენს.

...თამარი მადნეულთან ახლოს, სამიოდე კილომეტრზე, სოფელ ბალიჭაში ცხოვრობს. ორსართულიანი ქვითკირის სახლი აქვს [illegible]ტა ეზოთი. სახლის წინ ვარდნარი გაუშენებია. მასაც სიხარული მოაქვს... ორი ვაჟი ჰყავს თამარს, ორივე ცოლშვილიანი.

ყოველ დღეს ახალი საზრუნავი მოაქვს, ახალი, წინა დღისაგან განსხვავებული.

ვეტერანი ფლოტატორის თვალწინ შეიქმნა სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი და აღმოცენდა მუშათა ქალაქიც.

მდინარე მაშავერას ხეობაში, ძველი საორბელიანოს მიწაზე, კაზრეთში მთამ ერთგან სახე და ფერი იცვალა, სულ სხვანაირად, სხვაგვარად გარდაისახა, გული გადაიხსნა, ქვის ამფითეატრს დაემსგავსა და კიბე-კიბე, ტერასებად, ზოგან თეთრ, ზოგან მოწითალო, მონაცრისფრო თუ რუხ ქანებად იქცა... და, დაიბადა ქართული მადანი!

კაზრეთელები გეოლოგების — იური ნაზაროვისა და მისი მეუღლის ვერა ალეინიკოვას სახელს უკავშირებენ მადნის პირველ აღმოჩენასაც და სამთო მრეწველობის განვითარებასაც.

1975 წლის 5 იანვარს საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ფერადი მეტალურგიის მედროშე, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი.

თამარ სელიმაშვილს კარგად ახსოვს პირველი დაბრკოლებები, პირველი სიძნელეები, როცა გეგმები ვერ სრულდებოდა... მაგრამ თანდათან, საქმის ერთგულებამ, სიყვარულმა შედეგი გამოიღო. კოლექტივმა გამოცდას გაუძლო და დაიწყო მიღწევები, წარმატებები. ბოლო წლებში მადნეულის სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატმა 12-ჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დღეს მეტი აქტიურობა, მეტი მონდომება, მეტი და უკეთესი პროდუქციის შექმნაა საჭირო.

გარდაქმნა, თამარ სელიმაშვილის რწმენით, უწინარეს ყოვლისა, საქმისადმი ახლებური მიდგომაა, ახლებური, გუშინდელისაგან განსხვავებული — როცა მოვალეობის უკეთესად შესრულებას ცდილობ, როცა ახალ რეზერვებს ეძიებ, ფიქრობ...



კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯანიკო ყაფლანიშვილი (შუაში), კონვეიერის მემანქანე ნუნუ ნონიაშვილი (მარცხნივ) და ფლოტატორი ჯულიეტა გურჯიევა.



ნუნუ ნონიაშვილი.

დღითიდღე უმჯობესდება სამთო მრეწველობის მუშაკთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები, ახალ-ახალი საცხოვრებელი სახლები შენდება კაზრეთში.

ბოლნისის რაიონში, კაზრეთში, მაშავერას ხეობაში აღმოცენდა ქალაქის ტიპის დასახლება, რომელიც დღითიდღე ემსგავსება ქალაქს. მას მადნეული დაერქვა. და, ამ ქალაქს საფუძველს უყრის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კოლექტივი: თამარ სელიმაშვილი, შოთა გელიაშვილი, ბეჟან ბასილაშვილი, ზვიად ჯაყელი, ელდარ ბოჭორიშვილი, ავთანდილ გოგოლაძე, ლუიზა გვარაძე, მზია სტოლარენკო და სხვები... ისინი ბევრნი არიან იმ წიაღისეულითა და კეთილშობილი ლითონებით მდიდარ მხარეში, რომელსაც ოდითგანვე ჩვენი წინაპრები ნამადნარებს ეძახდნენ.

ლამარა ესართია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერის სულიერი საგანძური




საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმს 60 წელი შესრულდა. თავდაპირველად იგი საქართველოს სსრ სათეატრო მუზეუმად იწოდებოდა. მუზეუმის პირველი სულისჩამდგმელები ცნობილი საზოგადო მოღვაწეები დავით არსენიშვილი და აკაკი ფალავა იყვნენ. შემდგომ გუგული ბუხნიკაშვილის ხელშეწყობით გამდიდრდა და მრავალი ძვირფასი ექსპონატით შეივსო მისი ფონდები. ამჟამად კი ფართო პროფილის ერთ-ერთ უძველეს სათეატრო მუზეუმად ითვლება საბჭოთა კავშირში.

მუზეუმში თავმოყრილია ქართული ხელოვნების რევოლუციამდელი და რევოლუციისშემდგომი პერიოდის თეატრის, მუსიკისა და კინოს ისტორიის 150 ათასზე მეტი ექსპონატი.

ექვსი ათეული წლის მანძილზე მუზეუმი მეტად საინტერესო კოლექციებით შეივსო. შეიქმნა სარეპერტუარო — საკატალოგო სპეციალური ფონდები. მუზეუმში ქართული საეკლესიო ფრესკებია; „სამაია" — მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან, ლადო გუდიაშვილის — „ნილბების თეატრი". ასევე ინახება უნიკალური საგალობლები, ხელნაწერები.

მუზეუმს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის სათეატრო რეპერტუარების მაუწყებელი ძველი აფიშებიც შემოუნახავს, — გიორგი ერისთავის თეატრიდან მოყოლებული — დღემდე, თბილისის თეატრალურ ცხოვრებაზე რომ მოგვითხრობს.

ქართული სათეატრო მხატვრობა ჩვენი ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ეროვნული ფურცელია. მუზეუმში ინახება ელენე ახვლედიანის, პეტრე ოცხელის, დავით კაკაბაძის, ქეთევან მაღალაშვილის, სერგო ქობულაძის, სოლიკო ვირსალაძის მხატვრული ესკიზები და ჩანახატები — თეატრალური და კინომხატვრების ნამუშევართა უმდიდრესი კოლექცია, ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა ფერწერული პორტრეტები და ქანდაკებები.

მუზეუმში თავმოყრილია ხელოვნების ცნობილი კორიფეების პირადი არქივები, მემუარები, მემორიალური ნივთები, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ივანე მაჩაბლის, გიორგი, დავით და რაფიელ ერისთავების და სხვა კლასიკოსთა ხელნაწერები, კ. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ს. ეიზენშტეინის და სხვათა ავტოგრაფები.

ვასო აბაშიძისა და ნატო გაბუნიას ცოცხალი ხმის ჩანაწერების მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვის ანზორ ერქომაიშვილს.

ლენინგრადის ბლოკადის მძიმე დღეებში სანდრო მირიანაშვილი ქალაქის დამცველთა რიგებში იმყოფებოდა. მან ერთი „ბუხანკა" პურის ფასად შეიძინა შტრაუსის ვალსის დასაწყისის ორიგინალი და ჯარისკაცისფარაჯიანმა ომის გზები გამოატარა. მისი ანდერძით, გარდაცვალების შემდეგ იგი თბილისის მუზეუმს გადაეცა.

მუზეუმში ხელოვანთა ლანდები გაცოცხლებულან. ჩვენს წარმოსახვაში ირეკლება გამორჩენილ ქართველ მამულიშვილთა ნამოღვაწარი, ერის სულიერი სიმდიდრე და სიდიადე.

მუზეუმმა გამოფენები მოაწყო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მოსკოვსა და ლენინგრადში, მისი ექსპონატები რამდენჯერმე გამოიფინა საზღვარგარეთ. -

მოსკოვში მოეწყო ქართული საბჭოთა კინოს ამსახველი მუდმივი ფოტოგამოფენა, რომელიც პარტიის 27-ე ყრილობას მიეძღვნა, ხოლო საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობას მიეძღვნა რეტროსპექტული გამოფენა, რომელმაც მხატვრის სახლში თვენახევარს გასტანა. გამოფენილი იყო მუზეუმის უნიკალური მასალები. „მსოფლიო სტანდარტების დონეზეა მუზეუმი" — პრესაში წერდა ვახტანგ ბერიძე.

სანდრო ახმეტელის დაბადების მე-100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ესკიზების, კოსტიუმების, აფიშების გამოფენა სამხატვრო გალერეაში დიდძალმა ხალხმა იხილა. ამჟამად თანამედროვე დეკორაციული მხატვრობის 20-მდე ნამუშევარი წაღებულია პარიზში, სადაც გამოფენა იუნესკოს ინიციატივით ეწყობა.

მუზეუმს ამდიდრებს სამეცნიერო ბიბლიოთეკა. მუზეუმის 82 თანამშრომლიდან 46 მეცნიერი მუშაკია. საინტერესო საქმიანობის სული და გული არიან მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი ლედი კაპანაძე, განყოფილების გამგეები: მედიკო სვანაძე, ნათელა ლაშხი, მზია მერკვილაძე, მარინე ხარაძე, როზი კასრაძე, ოთარ სახოკია. დალი სილაგაძე, მარინე გოძიაშვილი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები: ია შანიძე, მედიკო გურაბანიძე, გიული გოგილაშვილი, ლამარა მაისურაძე, ხელნაწერთა განყოფილების სექტორის გამგე ქეთინო ვარდიაშვილი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე ვალონა კამლაძე. მათ მხარში უდგანან ახალგაზრდა მუშაკები.

გვესაუბრება მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე შალუტაშვილი:

— კულტურული ფასეულობა, აქტიორული ნამუშევრები დროთა მანძილზე დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ეს უაღრესად ეროვნული საქმეა. ამიტომ აუცილებელია ვიდეოთი აღიჭურვოს მუზეუმი, რომ მთლიანად დაფიქსირდეს სპექტაკლები, ეს უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა იქნება. თეატრალური სეზონის დამთავრების ჟამს სპექტაკლები სცენიდან ჩამოდიან., აუცილებელია მათი მთლიანი დაფიქსირება, მაგრამ მუშაობა ძირითადად ძველი მეთოდით წარმოებს, მხოლოდ ფოტოების შეკრებით კმაყოფილდებიან, ვერ იყენებენ ტექნიკის სიახლეებს. ვიდეოკომპლექსი განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონებისათვის არის საჭირო. იქ მცხოვრებნი მეტწილად ვერ ნახულობენ რესპუბლიკის თეატრების სპექტაკლებს. ტექნიკური სიახლის დამკვიდრებისას კი მაყურებლებს საშუალება ექნებათ ლექცია მოისმინონ და საინტერესო სპექტაკლიც იხილონ.

ძველი ხელოვნების სამყარო, კულტურული ფასეულობა, აქტიორული ნამუშევრები დავიწყებას არ უნდა მიეცეს, ისტორიის შთამბეჭდავი ფურცლებია უნიკალური აფიშები, პროგრამები, რეკვიზიტები, ესკიზები, ბიბლიოგრაფიულ გამოცემათა იშვიათობა და ყველა ფერშეცვლილი დეტალები, წარსულს რომ გვაგონებს, საუკუნეებს რომ გადასწვდება.



თბილისის ქართული დრამატული თეატრის დასის წევრები: ქ. ყიფიანი, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა, ეფ. მესხი, ვ. აბაშიძე, ს. ხვიმონიძე და სხვები.

სამუზეუმო მასალის საფუძველზე ქართული თეატრის, მუსიკისა და კინოს მოღვაწეთა შესახებ მრავალი მონოგრაფიული, სადოქტორო, საკანდიდატო ნაშრომი დაიწერა.

მუზეუმი დიდ დახმარებას უწევს თეატრალური და მუსიკალური ურთიერთობების საძიებლად მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მკვლევარებს.

შარშან მუზეუმმა აღადგინა 20 წლის წინათ შეწყვეტილი თეატრალური კალენდრის „საიუბილეო თარიღების" გამოცემა. კალენდარში თეატრის, მუსიკისა და კინოს მოღვაწეთა საიუბილეო პორტრეტებია გამოქვეყნებული. თეატრალური კალენდრის რედაქტორია მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე შალუტაშვილი. კალენდრის სამეცნიერო მომზადებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე გუბაზ მეგრელიძე.

მუზეუმს თავისი არსებობის მანძილზე არც შენობა ჰქონია და არც სტაციონარული მუდმივი ექსპოზიციის საგამოფენო დარბაზი. ამჟამად სარენტო წესით მუზეუმის გამგებლობაში დიდებული საგამოფენო დარბაზია. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს კულტურული სიმდიდრე, სულიერი საგანძური, ხელოვნებათა ისტორიის განვლილი ეტაპები იხილონ მომავალმა თაობებმა.

ეთერ ჯაფარიძე

---

იადვიგა რუტკოვსკა

იუმორი

# მიმართვა ქმრებისადმი

მეტნაკლებად პატივსაცემო და პატივცემულო ბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ამ მიმართვის მიზანი ის არის, რომ აღმოაჩინოს კონკრეტულ პირთან დაკავშირებული პირადი პრეტენზიები. არა, მე მინდა გაგანდოთ ჩემი დიდი ხნის და მიუკერძოებელი დაკვირვების შედეგი...

როგორც გამოირკვა, პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწე მამაკაცების 9 პროცენტი არ უყურებს თავის ცოლს. ეს მამაკაცები საქმისგან ისე არიან გაფანტულნი, ზოგჯერ დაბნეულობის შედეგად თუ მიაშტერებენ თვალს.

არ მინდა ვიყო უსაფუძვლო. ამიტომაც მოვიყვან რამდენიმე სარწმუნო ფაქტს. ზოგიერთი ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ცოლის თვალებში ცქერა შეიძლება გამოსადეგიც იყოს.

ერთი კაცი იოტისოდენა ყურადღებას არ აქცევდა ცოლს. წლების მანძილზე დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრების მეგობარი ოდნავადაც არ განვითარებულა. ეს კაცი ბუნებით კეთილშობილი ადამიანი გახლავთ და ამიტომ იშვიათად თუ შესჩივლებდა მეგობრებს თავისი ცოლის გონებრივ შეზღუდულობას.

ერთ დღეს, როცა გაიღვიძა, ცოლი საწოლში ვერ დაინახა, ვერც თავისი ახალი პერანგი და წინდები შენიშნა. იმ დღეს ნაცნობებისგან შეიტყო, რომ მისი ცოლი, უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამგზავრებულა.

მეორე პიროვნება, რომელსაც ჩვევად არ ჰქონდა ცოლისთვის თვალებში ეცქირა, დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა გაყრაზე. არა, იმის ეჭვი არ ჰქონდა, რომ ქალს არ უყვარდა, ანდა, თუ ფიქრობდა მის მიტოვებას, როგორ დასტოვებდა გაუბედურებულ კაცს! მხოლოდ შემთხვევით, ისიც სრულიად უცნობი კაცისგან შეიტყო, რომ მის ცოლს კარგა ხანია საყვარელი ჰყოლია, მაგრამ ქალს იმდენად კეთილი გული ჰქონდა, რომ ღირსეულ ქმარს ერთგულად უწევდა უღელს.

ერთმა კი, მას მერე შეხედა თავის ცოლს, როცა ხეივანში სეირნობისას მისმა მეგობარმა წამოიძახა:

— შეხედე, რა ლამაზი ქალია!

და იმის მაგივრად, რომ რომანი გაება სხვა „ფისოსთან", თავისი ცოლით დაინტერესდა. ამ ფაქტმა დადებითად იმოქმედა ბევრ საქმეზე.

უსიამოვნო ამბავია, მაგრამ ესეც უნდა გავიხსენო: ერთი კაცი, რომელსაც ჩვევად არ ჰქონდა ცოლის თვალებში ცქერა, უბედური შემთხვევის გამო გამოიძახეს. მისი ცოლი მანქანას გაეტანა. კაცი რამდენს არ აკვირდებოდა სახეზე, ვერ მიმხვდარიყო ვინ იყო... ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა...

დაბოლოს, მე თვითონ ვიცნობდი კაცს, რომელმაც ერთ დღეს შემთხვევით შეხედა ცოლს და დაბნეულმა შეიცხადა: — რა საჭიროა წლობით იყო ვიღაც ქალთან, რომელიც ღმერთმა იცის, საიდან გაჩნდა აქ.

მეტნაკლებად პატივსაცემო და პატივცემულო ბატონებო! ცხოვრებაში არსებობს სასიამოვნო ნაბიჯიც უკმაყოფილოთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რასაც გულწრფელად გისურვებთ.

ღირსება რეკლამას თხოულობს.

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# ვის დავუტოვოთ ბავშვი?



1987 წ. № 1 ჟურნალში დაბეჭდილი ლ. ფრუიძის წერილი „ვის დავუტოვოთ ბავშვი“ ეხება ჩვენი ყოფა-ცხოვრების დიდი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ეროვნული მნიშვნელობისა და, იმავდროულად, ძალზე მოსაგვარებელ სფეროს. წერილში განხილული საკითხი პირდაპირ ეხმაურება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესის სრულყოფის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს თვისებრივი გარდაქმნის, ადამიანის ფაქტორის და მისი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი რეალური გაუმჯობესების, სოციალური ხარისხის ამაღლების ამოცანებს. ამ ამოცანათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია მოზარდი თაობის აღზრდის როგორც ორგანიზაციული, ისე ხარისხობრივი დონის ამაღლება, სრულყოფა.

არც საიდუმლოა და არც გასაკვირი, რომ ბავშვთა საზოგადოებრივი — სოციალურ-პედაგოგიური აღზრდის დაწესებულების — საბავშვო ბაღების ქსელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს ვერც რაოდენობრივად, ვერც ხარისხობრივად; საბავშვო ბაგა-ბაღების უმრავლესობაში ჯგუფები უკიდურესობამდეა გავსებულ-გადატვირთული; თუ ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-25-ს, უმრავლეს შემთხვევაში მათი რაოდენობა 50-60-ზე მეტია. რომ არაფერი ვთქვათ აღმზრდელ-მასწავლებლის კრიტიკულ მდგომარეობაზე, ასეთი სიტუაცია უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვთა ნერვულ-ფსიქიკურ სისტემაზე, აუარესებს კი არა, ამახინჯებს კიდეც მათი ჯანსაღი აღზრდა-ჩამოყალიბების პროცესს; ცნობილია, რომ ბავშვთა ეს ასაკი ურთულესი, უსათუთესი და მოსაფრთხილებელია. ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ბავშვის პიროვნებას. მის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ არსს; ასეთ ვითარებაში ე. წ. „საოჯახო ბაღების“ ორგანიზება არათუ საჭიროა, არამედ აუცილებელიც კია! ასეთი ბაღების დაწესებით განიტვირთება საბავშვო ბაგა-ბაღების ჯგუფები, ადვილი იქნება მშვიდი, გაწონასწორებული, უარყოფითი სტრესებისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმალურად დაცული და, მაშასადამე, ნორმალური ზნეობრივ-ფსიქიკური ზრდისა და ინტელექტუალური, სულიერ-შემოქმედებითი უნარ-თვისებებისა და შესაძლებლობების გამოვლენის პირობები, რაც ასე აუცილებელია მოზარდისათვის. ეს ხელს შეუწყობს მშობლების, განსაკუთრებით საზოგადოებრივ წარმოებაში მომუშავე დედის დროის ბიუჯეტის რაციონალურ და ოპტიმალურ გამოყენებას; კეთილსასურველად იმოქმედებს ოჯახური, ცოლ-ქმრული (განსაკუთრებით ახალგაზრდა მეუღლეების) კონფლიქტების სიხშირის შემცირებაზე, მაშასადამე, ცოლ-ქმრული ურთიერთდამოკიდებულების ჰარმონირებაზე.

საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში (და არამარტო ჩვენს რესპუბლიკაში), განსაკუთრებით თბილისსა და სხვა ურბანიზებულ, ინდუსტრიულად განვითარებულ ქალაქებში ოჯახური, ცოლ-ქმრული კონფლიქტების საგრძნობი პროცენტი საოჯახო როლების განაწილებასა და მათ შორის ბავშვის მოვლა-პატრონობის, ერთი შეხედვით თითქოსდა წვრილმან, მაგრამ საკმაოდ მწვავე საკითხებთან არის დაკავშირებული.

არ არის გამორიცხული, რომ საოჯახო ბაგა-ბაღები დადებით, მასტიმულირებელ ფაქტორად იმოქმედებს ჩვენში შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორებაზეც. ეს საკითხის ერთი მხარეა; მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ორგანიზაციული მხარეც. საოჯახო ბაღების შემოღება-დაწესება უნდა განხორციელდეს საკითხის წინასწარი საგულდაგულო სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური შესწავლის ჩვენი რეგიონალური, ეთნოფსიქიკური, ეთნოკულტურული თავისებურება-სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იქნება ასეთი ფორმის ბაღის აღმზრდელი. საბავშვო ბაღი შემნახველი საკანი როდია. იგი აღზრდის კერაა, და თუ ასეა, აღმზრდელი თავად უნდა იყოს აღზრდილი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე საბინაო-კომუნალური და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებაც.

ერთი სიტყვით, ლ. ფრუიძის წერილში დასმული საკითხის აქტუალურობა ნათელია. საჭიროა მისი განხორციელების ოპტიმალური გზებისა და ფორმების ძიება.

გივი ლოლუა,
სოციოლოგი.

ბავშვის ჯანმრთელობა — უმთავრესი საზრუნავი

# რაც დედას ევალება

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობის აღზრდის სულისკვეთება წითელ ზოლად გასდევს უკანასკნელ წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ყველა იმ ძირითად დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის განვითარებისაკენ.

ცხადია, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, მედიკოსების, ბავშვთა ექიმების მოვალეობაა. მაგრამ არის ისეთი დაავადებები, რომელთა თავიდან აცილება გაცილებით ადვილია, ვიდრე მკურნალობა. ამ დაავადებებისაგან ბავშვის დაცვა დედას ეკისრება.

მოიგონეთ მოპასანის „მახინჯების დედა“, ბავშვისათვის რა სავალალო შედეგით მთავრდებოდა დედის სურვილი — კორსეტის საშუალებით შეენარჩუნებინა სხეულის მოხდენილი აღნაგობა ორსულობის დროს.

არსებობს მდგომარეობა, რომელსაც სამედიცინო ენაზე ნაყოფისა და ახალშობილის ასფიქსიას ეძახიან — ჩვეულებრივ ეს ნიშნავს მოგუდვას, მოხრჩობას, ჟანგბადის მიწოდების შეფერხებას, შეწყვეტას. ახალშობილი ერთ შემთხვევაში, მძიმე მდგომარეობაში იბადება და მის გადასარჩენად საჭირო ხდება რთული რეანიმაციული. ღონისძიებების ჩატარება; მეორე შემთხვევაში, „უბრალოდ“ გალურჯებულია და საკმარისია დუნდულებზე ხელის მსუბუქი შემოკვრა, რომ ბავშვმა დაიყვიროს; მესამეში — ბავშვი „ნორმალური“ იბადება, თუმცა დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ მან მუცლადყოფნის პერიოდში ასფიქსია გადაიტანა. ასეთი ბავშვების სპეციალური დაკვირვებით დადგინდა, რომ ყოველი 100-დან 65-70-ს აღენიშნება მეტ-ნაკლებად გამოხატული ნერვულ-რეფლექტორული ცვლილებები; რვას უვითარდება ცერებრალური დამბლები, სამს ეპილეფსია ან თავის წყალმანკი, ყოველ მეოთხეს — მეტყველების დეფექტი. ამ ჯგუფის ბავშვებში, საკონტროლოსთან შედარებით, ორჯერ ხშირია გონებრივი ჩამორჩენა, ღამის შიში, ზოგადი აგზნებადობა და გაღიზიანებულობა; სამჯერ მეტია კონფლიქტური პიროვნების დამახასიათებელი თვისებები, დაბალია აკადემიური წარმატების დონე. ასეთი ბავშვები უჩივიან უძილობას, თავის ტკივილს, ყურადღების გაფანტვას და მეხსიერების დაქვეითებას; ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ უარყოფითი დემოგრაფიული სიტუაციის, შობადობის შემცირების პირობებში ამგვარ ბავშვთა ხვედრითი წონა კი არ კლებულობს, — მატულობს. მიზეზი? ნაყოფისათვის ჟანგბადის მიწოდების შეწყვეტისა და შეფერხების მიზეზი ბევრია. არ შევჩერდებით ნარკოტიკებზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე, რომელთა დამღუპველი მოქმედება ყველასათვის ცნობილია. ნაყოფის განვითარებაზე უშუალო უარყოფითი მოქმედების გარდა, მათი გამოისობით ფერხდება ნაყოფისთვის ჟანგბადის მიწოდება, რასაც თავის ტვინის მძიმე დაზიანება და გონებრივი და ფიზიკური ხეიბრობა მოსდევს, განსაკუთრებით, თუ იგი მოქმედებს ნაყოფის ჩასახვისა და ორსულობის პირველი თვეების განმავლობაში. დამტკიცებულია, რომ ნაყოფის ჩასახვის დროს დედის ან მამის თუნდაც ერთჯერად სიმთვრალეს მოსდევს განვითარების დეფექტის მქონე, მახინჯი ბავშვის დაბადება.

ჩვეულებრივ პირობებში ნაყოფისათვის ჟანგბადის მიწოდება ფერხდება როგორც პათოლოგიური ორსულობის (ინფექციები, ორსულთა ტოქსიკოზები, სისხლისდენა და ა. შ.), ისე გართულებული მშობიარობის დროს. (გახანგრძლივებული მშობიარობა, დიდი ნაყოფი და მისი არასწორი მდებარეობა, ჭიპლარის შემოხვევა და ა. შ.) მაგრამ ჟანგბადის შეწყვეტისა და შეფერხებისათვის აუცილებელი არ არის განსაკუთრებული მავნე ფაქტორების მოქმედება. მისი მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მომენტები, ორსულის შრომისა და ყოფა-ცხოვრების რეჟიმის უმნიშვნელო დარღვევა, გაუფრთხილებლობა, ნაკლები მოძრაობა, სუფთა ჰაერზე იშვიათად ყოფნა, არაჰიგიენური, ტანზე შემოჭერილი ტანსაცმელი, მძიმე ფიზიკური მუშაობა და ა. შ.

თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ უნდა იყოს ორსულის მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლით თეატრში წასვლა, სურათიდან მტვრის ჩამოსაწმენდად სკამზე ასვლა, სავსე ვედროთი წყლის მოტანა, მაგრამ ამ უბრალო გაუფრთხილებლობას ადვილად შეიძლება მოჰყვეს საშვილოსნოს კედლიდან პლაცენტის (მომყოლის) სრული ან ნაწილობრივი მოცილება, რასაც ნაყოფისათვის სისხლის მიწოდების შეფერხება მოსდევს.

ნაყოფისათვის მიწოდებული სისხლი ღარიბია ჟანგბადით, როცა დედა ნაკლებად მოძრაობს, სუფთა ჰაერზე ნაკლებად იმყოფება, ტანზე შემოჭერილი ტანსაცმელი აცვია და ა. შ.

ესა და მსგავსი ფაქტორები მუდამ აუცილებელი იყო ბავშვის განვითარებისათვის, დღეს კი მათს მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თანამედროვე ცხოვრებისა და გარემოს პირობები (თანდათან მზარდი სტრესული სიტუაციები, ატმოსფეროს გაბინძურება, ტოქსიკურად მოქმედი ნივთიერებების სიუხვე), სხვა არაფერია, თუ არა ის ფაქტორები, რომელთა მიზეზითაც ნაყოფი ჟანგბადით „შიმშილს“ განიცდის.

მ. მჭედლიშვილი,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ილიას თანამედროვე

# ეკატერინე გაბაშვილი



ცნობილი საზოგადო მოღვაწე ეკატერინე გაბაშვილი პირველი მწერალი ქალია, რომელიც სამშობლოს სასახელოდ ილვწოდა ილიას, აკაკის, გოგებაშვილის, ყაზბეგის და ვაჟას გვერდით. მისი მხატვრული პროზის შედევრები, საბავშვო მოთხრობები საყოველთაოდაა აღიარებული.

1870 წელს, როცა „დროებაში" დაიბეჭდა 19 წლის ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოები „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე", ეს ესკიზი ერთსულოვნად მოსწონებია მოწინავე მკითხველ საზოგადოებას.

პეტრე უმიკაშვილს ეს მოვლენა იმით აღუნიშნავს, რომ ეკატერინესათვის თავისი გამოცემული „ვისრამიანი" მიუძღვნია წარწერით, დაულოცნია მწერლის სალიტერატურო სარბიელზე გამოსვლა და უთქვამს: „მხოლოდ გახსოვდეს, წერისათვის საჭიროა შეუფერხებელი თვითგანვითარება, ეცადეთ, ემზადეთ, ემზადეთ. დედაკაცის მწერლობა ფრიად სასახელო და საამაყო მოვლენა იქნება ქართველებისათვის".

ივანე მაჩაბელი მწერალ ქალს ეამბორა და უწინასწარმეტყველა: მე თქვენში მომავალ ბელეტრისტს შევხარიო. დიდ ილიას მეუღლისათვის, ოლღა გურამიშვილისათვის უთქვამს: თუ ეკატერინე გაბაშვილის რაიმე შეგხვდეს გაზეთში ან ჟურნალში, გადამალე და ჩემს მაგიდაზე დადევი, რომ არ გამომრჩესო.

თავის პირველ ნაწარმოებში („გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე") მწერალი ფრიად მტკივნეულ საკითხს ეხება — გლეხკაცს სიბნელისა და ცრუმორწმუნეობის ტყვეობიდან თავის დაღწევა სწავლისა და ცოდნის გზით შეუძლია. მწერალ ქალს აუცილებლად მიაჩნია გლეხის შეგნების ამაღლება, უმეცრებასთან ბრძოლა და პატრიარქალური, დრომოჭმული ტრადიციების უარყოფა.

ეკატერინე გაბაშვილს, ქართული კრიტიკული რეალიზმის შესანიშნავ წარმომადგენელს, ერთ-ერთს პირველს შემოუტანია ქართულ ლიტერატურაში პროზის მცირე ჟანრები — პატარა მოთხრობა, ნოველა, მინიატურა, სურათი. მისი ლიტერატურული შედევრები, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და ქართველ სამოციანელების, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გავლენით ჩამოყალიბებულა. 80-იან წლებში ეკატერინე გაბაშვილს ხალხური იდეების გავლენა განუცდია.

ნაროდნიკული იდეებით არის შეფერილი მისი „სოფლის მასწავლებელი". აღნიშნული მოთხრობა აგვიწერს საქმიანობას იმ ახალგაზრდათა ჯგუფისა, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს ხალხში გასვლის ცნობილ იდეას.

ეკატერინე გაბაშვილი 1851 წლის 11 ივლისს დაბადებულა ქ. გორში, ბავშვობა კი სოფელ ახალქალაქში გაუტარებია. ეკატერინეს დედა სოფიო ბაგრატიონი შეძლებული ოჯახიდან ყოფილა გამოსული და სათანადო შინაურული აღზრდა ჰქონია მიღებული. იგი თავისი გარეგნული სალამაზითა და მომხიბვლელობით, ხასიათის სიმტკიცითა და მუსიკალობით ყველას აოცებდა.

ეკატერინეს მამა რევაზ ბადურის ძე თარხნიშვილი (თარხან მოურავი) მეთვრამეტე საუკუნის მწერალთა შედევრებზე აღზრდილი, თავისუფალი მოაზროვნე, სახელმოხვეჭილი იურისტი გორის სამაზრო სასამართლოში მუშაობდა.

მამამ დიდი როლი შეასრულა პატარა ეკატერინეს სულიერად ჩამოყალიბებაში. იგი მას წერა-კითხვასთან ერთად ასწავლიდა ჩვენი ერის ისტორიას, უხსნიდა ბუნების საიდუმლოებას, აყვარებდა ისტორიულ ძეგლებსა და მხატვრულ ლიტერატურას, ესაუბრებოდა სამშობლოს მღელვარე დღეებზე.

პატარა კატოს თავისი ცხოვრების პირველი წლები დედასთან, ახალქალაქში, თარხნიშვილების მამულში გაუტარებია. დედის გარდაცვალების შემდეგ ხუთი წლის კატო აღსაზრდელად გორში წაუყვანიათ დიდედასთან. ბარბარე დესპოტი ხასიათის ქალი ყოფილა. მწერალი თავის მოგონებაში („ჩემი სიყმაწვილე") აგვიწერს დიდედასთან გატარებულ უღიმღამო დღეებს და იმ ოჯახურ გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობდა.

სასწავლებელში იაკობ გოგებაშვილის მგზნებარე საუბრებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ეკატერინე გაბაშვილზე, ხოლო ამ დიდი ადამიანის ნაჩუქარი სახელმძღვანელო ცხოვრებაში გამოსასვლელ საგზურად გადაქცევია.

1868 წელს ეკატერინე გაბაშვილს დაუმთავრებია თუ არა პანსიონი, გორში დაბრუნებულა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შესდგომია.

ქართველ მოწაფეებს იგი იმ სახელმძღვანელოთი და მეთოდით ამეცადინებდა, რომელიც დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს უჩუქებია. ამიტომაც სულ მოკლე ხანში შეუსწავლებია ბავშვებისათვის როგორც ქართული, ისე რუსული წერა-კითხვა.

1871 წელს მწერალ გ. წერეთლის სალონში მოეწყო ლიტერატურული შეკრება, სადაც ილია ჭავჭავაძემ თავისი „კაცია ადამიანი"? წაიკითხა. კითხვას მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ესწრებოდნენ. გ. წერეთელს იმ საღამოზე ოცი წლის ეკატერინეც მოუწვევია, რომელიც ჯერ მხოლოდ ორი მოთხრობის ავტორი იყო. ამ საღამოს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ეკატერინეზე.

სწორედ გ. წერეთლის ოჯახში, „კაცია-ადამიანის" კითხვის დროს ეკატერინეს გაუცვნია ხალხური იდეებით გატაცებული ალექსანდრე გაბაშვილი. „ყველაფერი სოფლისათვის" — ასეთი იყო მისი ლოზუნგი და მოწოდება. ალექსანდრე ეკატერინემ სულიერ მეგობრად მიიჩნია და 1872 წელს ცოლად გაჰყვა.

1881 წელს ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნდა მწერლის ვრცელი ნაწარმოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რომანი დიდ ხევში“, რომელმაც ავტორს საერთო აღიარება მოუტანა.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ვითარებაში, უფლებააყრილ ქართველ ქალს ეკ. გაბაშვილის სახით გულისხმიერი მოსარჩლე მოევლინა.

მოთხრობას, — „რომანი დიდ ხევში“, — მოჰყვა მხატვრული პროზის შედევრები: „მაგდანას ლურჯა“, „როგორ მიეგება სიმონიკა ახალ წელს“, „ოქროს ბურჯი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „უსინათლო ლექსო“, „დათიკოს მონოლოგი“, „მეურმის ფიქრები“, „თამროს ნუგეში“, „ბეჩავის სიყვარული“.

ამ ნაწარმოებების ძირითადი თემაა გლეხის დუხჭირი ცხოვრება. ეს ნაწარმოებები მაშინდელ ქართულ საბავშვო ჟურნალებში გამოქვეყნდა და მკითხველმა მაშინვე აღიარა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი „მაგდანას ლურჯა“, რომელიც დაწერილია პერსონაჟთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.

ეკატერინე გაბაშვილს თავისი წვლილი თეატრის განვითარების საქმეშიც შეუტანია. მას თავისი პირადი მაგალითით გზა გაუხსნია და წაუქეზებია ნიჭიერი ქალები ეროვნული თეატრის ასაყვავებლად, უთამაშნია არა მარტო თბილისის, არამედ რაიონის სცენებზეც, გორში, სურამში, ახალქალაქში და ქარელში გამართულ წარმოდგენებში.

სწორედ თეატრის სიყვარულმა დააწერინა პიესებიც: „სურათი ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან“, „ბედი მუხთალი“ და „ნილილისტიკა“, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრალურ დასში.

1890 წელს „ჯეჯილის“ პირველსავე ნომერში დაბეჭდილა ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „ღვთის შვილი“, რომლისთვისაც იმდროინდელ კრიტიკას მაღალი შეფასება მიუცია.

ამას მალე მოჰყოლია ჟურნალ „ჯეჯილში“ დაბეჭდილი ეკ. გაბაშვილის „საახალწლო სურათი“ და „გიგოლას სიზმარი შობის ღამეს“.

ეკ. გაბაშვილი თხუთმეტი წლის მანძილზე ყოფილა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. მაშინ ჩაეყარა თურმე საფუძველი მის მეგობრობას ილია ჭავჭავაძის მეუღლესთან — ოლღა გურამიშვილთან.

1897 წელს ეკ. გაბაშვილს თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე ქალთა ხელსაქმისა და ჭრა-კერვის სკოლა დაუარსებია, რომელსაც 25 წელიწადი უარსებია. „შემდგომში უფრო მეტად დავახლოვდით მე და ოლღა, როდესაც ჩემს სახლში, ჩემი ზედამხედველობით დაარსდა ქალთა პროფესიული სკოლა და რომლის თავმჯდომარედ ოლღა ჭავჭავაძე იყო არჩეული“, — იგონებდა ეკ. გაბაშვილი.

მხცოვანი მწერალი გულწრფელად მისალმებია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. „ჩემი თაობის მწერლებიდან, — წერდა ეკ. გაბაშვილი, — ყველაზე ბედნიერი ვარ, რადგან მოხუცებულობის ჟამს მოვესწარი ჩემი ხალხის მშვენიერ და თავისუფალ ცხოვრებას, რომელზედაც ოცნება არ შემეძლო ჩემს ახალგაზრდობაში“.

თამარ გომართელი

# ერთ საღამოს



მინიატურა

გაზაფხულის იის სურნელით თავბრუდახვეული წყვილები მთვარის შუქით განათებულ ვიწრო ქუჩას უსიტყვოდ მიუყვებოდნენ. ქუჩა ისეთი გარინდული იყო, თითქოს რაღაცას ელოდა.

რვეულების დასტით ხელდატვირთული ქალი აღმართზე ადიოდა, ეტყობოდა სამსახურიდან ბრუნდებოდა. საკმაოდ მოღლილი და მოწყენილი ჩანდა.

უცებ იგრძნო, რომ უკან ვიღაც მიჰყვებოდა. ქალმა შეუმჩნევლად მიიხედა და ვაჟის დაძაბული გამოხედვა შეამჩნია. გული აუჩქროლდა. გაეღიმა. ქალი რაღაც ნათელსა და ამაღელვებელს ელოდა. „ალბათ, ჩემი გაცნობა სურს“, — გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა. მისი ნაბიჯები უფრო მსუბუქი და მოხდენილი გახდა. რვეულებიც და ჩანთაც უფრო ემსუბუქა. საღამოს ათი საათი თუ იქნებოდა. თბილი და სასიამოვნო სიო ქალს ლოყებზე სათუთად ეალერსებოდა. თავის ოდნავ გვერდზე მობრუნებით ის კარგად ამჩნევდა თავისი უნებლიე თანამგზავრის მშვენიერ პროფილს.

სულ სამიოდე ნაბიჯილა აშორებდათ ერთმანეთს. ქალი თავისთვის ჩუმად იღიმებოდა და ფიქრობდა: „როგორი მორცხვი და თავშეკავებული ჩანს, ალბათ, ვერ მიბედავს გაცნობას. რა რომანტიკულია ეს ყველაფერი!“

მოსახვევში უცებ კაცი ქალისკენ დაიხარა, სახეში შეხედა და...

— თურმე სხვა ყოფილა! — ჩუმად ჩაილაპარაკა.

მერე მობრუნდა და უკანმოუხედავად მოჰკურცხლა.

გარშემო არავინ ჩანდა. ცრემლმორეული ქალი გაოგნებული გასცქეროდა ღამეში გაუჩინარებულ წერტილს...

ლია სვანიძე

„საქართველოს ქალის" პრიზზე

# ზეიმობს სინატიფე, გრაციოზულობა



ინგა ჩხაიძე





ირმა ყიფშიძე

თბილისელი გულშემატკივრები ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან მხატვრულ ტანვარჯიშში საერთაშორისო ტურნირის დაწყებას. შეჯიბრება „საქართველოს ქალის" პრიზზე უკვე მესამედ გაიმართა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი პოპულარულია და, როგორც იტყვიან, „დიდი პრესაც" აქვს.

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა წლევანდელმა გამოსვლებმა თბილისელებს დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა. ასე იყო შარშანაც, როცა გამარჯვება ტაშკენტელ ელენე ხოლოდოვას დარჩა, შარშანწინაც, როცა მთავარი ჯილდო ისევ ტაშკენტელ ვენერა ზარიპოვას ერგო. წლეულს იყო ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება — ამჯერად ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა აშკარად „ალიმაღლეს ხმა", თუმც, მაშინდელი პრიზიორი თინათინ ნადირაშვილი ამჯერად შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა — ევროპის პირველობისათვის ემზადებოდა. უნდა აღინიშნოს „საქართველოს ქალის" „შვილობილის", 17 წლის ირმა ყიფშიძის ჩინებული გამოსვლა. ირმას ამ ასაკში უკვე დიდი სახელი აქვს (მან ბევრი ქვეყანა მოიარა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიო თასის ვერცხლის პრიზიორია ჯგუფურ ვარჯიშში. წინასწარვე შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ყიფშიძე საკუთარ ქალაქში გულშემატკივრებს არ გააწბილებდა. იგი განსაკუთრებით ნატიფი და გრაციოზული იყო სახტუნაოთი და ზონარით ვარჯიშში. ამ სახეობებში მან ყველას აჯობა. ირმას მასწავლებელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ნელი სალაძეს, რასაკვირველია, შეუძლია იამაყოს. თავი გამოიჩინა მისმა მეორე მოწაფემაც, 16 წლის ნატო ლეშკაშელმა, გურზებით ვარჯიში ძალიან კარგად რომ შეასრულა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენმა სხვა წარმომადგენლებმაც — იზოლდა მთავრიშვილმა, ინგა ჩხაიძემ და ელისო ბედოშვილმა. საერთაშორისო ტურნირის დანიშნულება სწორედ ის გახლავთ, რომ ასპარეზი მისცეს ესოდენ ნიჭიერ სპორტსმენებს. ძვირფასი რამ — გამოცდილება შესძინოს მათ.

თბილისის საერთაშორისო ტურნირს ყოველთვის ჰყავდა საინტერესო სტუმრები. ამჯერად მაინც განსაკუთრებით გამოირჩეოდა მრავალჭიდში გამარჯვებული ეკატერინე გურინა — ბრესტელი ოსტატი. გურინა 16 წლისაა, მაგრამ, თუ სპორტის ამ სახეობის სპეციფიკას გავითვალისწინებთ, მაინც შეიძლება მას ფრიად გამოცდილი სპორტსმენი ვუწოდოთ. დიახ, იგი კარგა ხანია, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორიც გახლავთ, რასაც ახლა ჩვენი ჟურნალის ჯილდოებიც დაემატა. ვინც მის ვარჯიშს უყურა, სახტუნაოთი თუ ზონარით, რგოლითა თუ გურზებით, არ შეეძლო არ აღენიშნა ბრესტელის დიდი ოსტატობა.

დასასრულს. ზოგი რამ იმ ტანმოვარჯიშეთა შესახებ, რომელთაც სხვადასხვა სპეციალური ჯილდოები მიენიჭათ. ყველაზე მომხიბლავი ტანმოვარჯიშის პრიზი გადაეცა სიუზან კუშმანს (კანადა), შესრულების არტისტიზმისათვის — ელისო ბედოშვილს, სპორტული ნებისყოფისათვის — ურშკა ლომშეკს (იუგოსლავია), იმედის პრიზი — 11 წლის მონიკა კრაინსკას და მაგდალენა ბემს (ორივე პოლონეთი).

შეჯიბრების მეორე, დასკვნითი საღამო, როგორც ყოველთვის, ზეიმური იყო — ჯილდოები, ყვავილები, შექება... ზეიმური და რამდენადმე სევდიანიც — ჩვენ ხომ ამ მშვენიერ სპორტსმენებს მთელი ერთი წლით გამოვეთხოვეთ.

გ. გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეწვზე გადარჩენილი სიცოცხლე



ქირურგი დოდო წურწუმია

გაზაფხულის მზე სიხარულისა და იმედის სხივებით ავსებდა მზევინარ და იური ჩემინავების ეზო-მიდამოს, ოჯახს, სადაც შვიდი შვილი იზრდებოდა. მზრუნველი დედა და ერთგული მეუღლე მზევინარ მესხია-ჩემინავა მერვე სიცოცხლის ჩასახვის სითბოსაც გრძნობდა და გული კიდევ უფრო მეტი სინაზით ევსებოდა. შრომაში გამორჩეულ, ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მშობლებს ეს გაზაფხული იმითაც ახარებდათ, რომ უფროსი ქალიშვილი ნინო საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებოდა, ხათუნა მეცხრე კლასს ამთავრებდა, ვლადიმერი — მეშვიდეს, სპარტაკი — მეხუთეს, შემდეგ ნათია, სოფიკო და...

აი, სრულიად მოულოდნელად დედამ ხათუნას უმადობა შეატყო, უფერული ეჩვენა თითქოს. გული როგორ მოუთმენდა, ან რა შორს იყო წასასვლელი, ბავშვი ბიძამისს, რაიონში ცნობილ პედიატრს, ქ. ზუგდიდის მეორე კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგეს მიხეილ ჩემინავას მიუყვანა, რომელმაც ხათუნა იქვე, საავადმყოფოში დატოვა სამედიცინო გამოკვლევისათვის. თავიდან ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიმდინარეობდა. მკურნალმა ექიმმა თინათინ ქვარცხავამ ლაბორატორიული ანალიზების პასუხში საგანგაშო ვერაფერი დაინახა, მაგრამ ხუთ აპრილს, ხათუნას სისხლის ღებინება დაეწყო. ჰემოგლობინი ოცდაათამდე დაეცა. პულსი ძლივს ისინჯებოდა. სასწრაფოდ გადაიყვანეს სარეანიმაციო განყოფილებაში (განყოფილების გამგე ბორის ნორაკაძე). სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

საჭირო იყო სასწრაფო და უშეცდომო მოქმედება. ახლა წამები წყვეტდა ყველაფერს და აი, ამ სასოწარკვეთილების ჟამს, ეს უდიდესი მისია ქ. ზუგდიდის ჯანმრთელობის დაცვის ენგურქაღალდკომბინატის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ დოდო წურწუმიამ იკისრა. მან ყველა ადრინდელი წამალი გვერდზე გადადო. ახლა მთავარი იყო სასწრაფოდ ეპოვათ დონორი, რომ ავადმყოფისათვის ცოცხალი სისხლი გადაესხათ და აი, ამავე საავადმყოფოს ექთანმა ელისო ზარქუამ დონორობა პირველმა იკისრა. სულ მალე ხათუნას თანაკლასელები და თანასკოლელები ჩადგნენ რიგში.

საავადმყოფოში მივიდნენ საქქაღალდმრეწვის გენერალური დირექტორი ოთარ ფაცაცია და ენგურქაღალდკომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი თენგიზ ჯიქია. იმ ღამეს, რომ იტყვიან, მთელი კომბინატი ფეხზე დადგა. მიღებული სასწრაფო ზომების მიუხედავად ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

ექვს აპრილს შედგა კონსილიუმი ქალაქ ზუგდიდის პირველი საავადმყოფოდან მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით. კონსილიუმს ქალაქის მთავარი ქირურგის მოადგილე ანგელინა ჩალიგავა ხელმძღვანელობდა. დადგინდა დიაგნოზი — „კუჭის წყლული". საჭირო იყო სასწრაფო დახმარების გამოძახება თბილისიდან. შვიდ აპრილს, ღამის სამ საათზე თბილისიდან დარეკეს, რომ წამოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა. დილის ცხრა საათზე პროფესორი გიორგი კაკოიშვილი და უროლოგი ლეილა ჯაფარიძე საავადმყოფოში იყვნენ. მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ ქუთაისელი ჰემატოლოგები, რომლებმაც თან ჩამოიტანეს სისხლის შემცვლელ-შემდედებელი სითხე „ფიბრინოგენი".

ახალმა კონსილიუმმა დაადასტურა დიაგნოზის სისწორე და, მკურნალობა, რომელიც დოდო წურწუმიას დანიშნულებისამებრ ტარდებოდა, აბსოლუტურად მართებულად ჩათვალა. ახლა მთავარი იყო წამლების შემოტანა. მაგრამ რასაც ზოგჯერ დეფიციტურს უწოდებენ, ადგილზე, ზუგდიდში შეიძინეს.

ერთიანი ძალისხმევის შედეგად მესამე დღიდან ავადმყოფს შემობრუნება დაეტყო. მაგრამ დოდო წურწუმია არც დღე, არც ღამე არ შორდებოდა ავადმყოფის სარეცელს. მხოლოდ ორ-სამჯერ შეირბინა სახლში, რომ ორი სიცხიანი ბავშვისათვის დაეხედა, რომელთაც დედის მაგივრად ბებია მკურნალობდა. (ეს „სახლი" კი ცაიშშია და ქალაქის ცენტრიდან ოცი კილომეტრითაა დაშორებული).

ქალბატონი დოდო დედისა და ექიმის პროფესიული ალღოთი გრძნობდა, რომ ის ახლა ხათუნასათვის უფრო იყო საჭირო, ვიდრე საკუთარი შვილებისათვის.

მედიცინის მუშაკების — დოდო წურწუმიას, ელისო ზარქუას, დაზმერ ცანავას, მიხეილ ჩემინავას, ლომერ ლაგვილავას, ტატიანა შჩერბაკოვას და მზევინარ კუკავას თავდადების შედეგად სიცოცხლემ გაიმარჯვა.

დიდია პროფესორ გიორგი კაკოიშვილის, უროლოგ ლეილა ჯაფარიძის და ქუთაისელი ჰემატოლოგების წვლილი ავადმყოფის სრულიად გამოჯანმრთელებაში.

ზემოთ დედის გულის სითბო და მერვე სიცოცხლის ჩასახვის გრძნობა ვახსენეთ. მზევინარ და იური ჩემინავებს მერვე შვილი — ვაჟი შეეძინათ. ოთხი გოგო და ოთხი ვაჟი იზრდება ახლა ჭირმალალ ოჯახში.

იხარე ჭეროო, ალბათ ასეთ დროს თქვა ქართველმა კაცმა.

გივი ცქიტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ჩამჟუჟებული ჭარხალი

ჭარხალი უნდა გაიფცქვნას, დაიჭრას, მოიხარშოს და გაცივდეს თავისსავე ნახარშ წყალში. შემდეგ დაიჭრას პატარა ნაჭრებად, ჩაიწყოს ქილაში და დაესხას მუჟუჟი.

მუჟუჟისათვის საჭიროა: თითო ჩაის ჭიქა ძმარზე ჩაის კოვზი მარილი, მიხაკი, შავი პილპილი და დაფნის ფოთოლი გემოვნების მიხედვით.

## ჩამჟუჟებული ყურძენი

მწიფე, მაგრამ ჯერ კიდევ მაგარმარცვლებიანი ყურძნის მტევნები გარეცხეთ, ჩააწყვეთ ქილაში, ზედ დაასხით მუჟუჟი. ქილას მოუკარით თავი პერგამენტის ქაღალდით.

ამ შემთხვევაში თითოეულ კილოგრამ ყურძენზე უნდა ავიღოთ 1 ჩაის ჭიქა ძმარი, 2 ჩაის ჭიქა წყალი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 1/2 ჩაის ჭიქა შაქარი. ყველაფერი ეს წამოადუღეთ, გააციეთ და დაასხით ქილაში ჩაწყობილ ყურძნის მტევნებს.

ამგვარადვე მზადდება ქლიავის მუჟუჟიც.

## ნესვის კანის ჩამჟუჟება

საშუალოდ დამწიფებულ ნესვს მოაცილეთ გარეთა თხელი კანი და შიგნითა რბილი ნაწილი დაჭერით პატარა ბრტყელ ოთხკუთხედებად, ჩააწყვეთ ქილაში და დაასხით გაცივებული მუჟუჟი.

ამ შემთხვევაში მუჟუჟი მზადდება შემდეგნაირად; თითო ჩაის ჭიქა ძმარზე უნდა აილოთ 1 ჩაის ჭიქა წყალი, 1/2 ჩაის კოვზი მარილი, 3 სუფრის კოვზი შაქარი, 1 სუფრის კოვზი თაფლი, 2-3 მარცვალი მიხაკი, 9-10 მარცვალი სურნელოვანი პილპილი. ყველაფერი ეს წამოადუღეთ, გააცივეთ და დაასხით პატარა ქილებში ჩაწყობილ ნესვის კანებს. გადააფარეთ პერგამენტის ქაღალდი და მოუკარით თავი. თავმოკრული ქილები ჩააწყვეთ დიდ ქვაბში, თითოეულ ქილას ქვეშ ამოუდევით სქელი ქაღალდის ნაჭერი. ქვაბში ჩაასხით იმდენი წყალი, რომ ქილებს ორი მესამედით ფარავდეს. ქვაბი შედგით ცეცხლზე და ადუღეთ დაახლოებით 1 საათის განმავლობაში. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან, ოღონდ ქილები არ ამოალაგოთ, სანამ წყალი კარგად არ გაცივდება, შემდეგ ქილები დააწყვეთ ცივ ალაგას.

ჩამჟუჟებული ნესვის კანი მიიტანება სუფრაზე სალათის სახით შემწვარ კერძთან.

## კიტრის ჩამჟუჟება

პატარა ზომის ქორფა კიტრებს გადაავლეთ მდუღარე წყალი, გააცივეთ და ჩააწყვეთ ქილაში. ერთ ფენას რომ ჩააწყობთ, ზედ მოაყარეთ გამხმარი ქინძის ან ცერეცოს მარცვლები. ასე მოიქეცით ყოველი ფენის ჩალაგებისას. შიგვე ჩააყარეთ 2-3 კბილი ნიორი. ქილა რომ თავამდე აივსება, დაასხით ძმარნარევი მარილწყალი, რომელშიც ჩახარშული იქნება წიწაკა.

როდესაც კიტრი შეისრუტავს სითხეს, უნდა დაემატოს ძმარნარევი წყალი.

რჩევა დიასახლისს

## ბრძოლა მღრღნელებთან

თაგვების გასაწყვეტად საუკეთესო საშუალებებია სხვადასხვა შხამი, მაგრამ არსებობს სხვა საშუალებებიც:

1. თაგვების სოროებთან დადევით ბელეკონში (სკიპიდარი) დასველებული ტილოს ნაჭერი, ბელეკონის სუნი განდევნის თაგვებს.

2. თუ თაგვები შინაურ ფრინველთან ახლოს გაჩნდნენ, სოროები ამოლესეთ ფისით.

სუნი განდევნის თაგვებს,
ჯამი დაუშლელი კირით. რომელსაც მოასხამთ შაქარწყალს. იქვე ახლოს დადგით ჯამი წყლით. თაგვები შეჭამენ დაშაქრულ კირს და წყურვილის მოსაკლავად დაეწაფებიან წყალს. კირის შემდეგ წყლის დალევა გამოიწვევს მათს სწრაფად დახოცვას.

## ბამბის საბნის გარეცხვა

ბამბის საბანი ჩვეულებრივად ირეცხება ნელთბილი საპონ-წყლით. მხოლოდ გარეცხვისა და გაშრობის შემდეგ ბამბა იტკეპნება და უხეშდება. ეს რომ არ მოხდეს საბანი უნდა რეცხოთ საპნით და უხეში ჯაგრისით, მხოლოდ ამორეცხვის შემდეგ საბანი კი არ უნდა დაგრიხოთ გასაწურავად, არამედ დაკიდოთ პირდაპირ სველი, რომ წყალი ჩამოიწრიტოს. გაშრობისას დროგამოშვებით ურტყით წკეპლა, რომ ბამბა ისევ დარბილდეს და არ დაიტკეპნოს.

გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეციტრუსე ნანული ფუტკარაძე, მეოთხეზე — სამკალში. დ. იაკობაშვილის ფოტოები.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. ბაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ ელენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ზუკაია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательсво ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5. 06. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 07. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.

 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 1484. უე 09872.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა



ფასი 80 კაპ.

100-12

ნ 269/134.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76

